# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 1 თებერვალი 2007 №21 (2944) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP



## წადით, თქვენი ძველი, კეთილი ფეხბურთი ბურჟუაზიად იყოფა



რევოლუცია იწყება, რევოლუცია ფეხბურთში, რომლის „ლენინიც“ ტოინ მანდერსია — ევროპარლამენტის დეპუტატი. ერთი კვირის წინ პარლამენტში მოეწყო წინასწარი კენჭისყრა იმ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელმაც, შესაძლოა, ყველაფერი ყირამალა დააყენოს ევროფეხბურთში.

ვინაა ტოინ მანდერსი? ჰოლანდიელი ლიბერალ-დემოკრატი, ვისაც ფეხბურთთან პირდაპირი შეხება არ აქვს, ხოლო ევროპარლამენტში შინაური ბაზრისა და მომხმარებლების უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრია.

მანდერსის იდეა ასეთია — ევროპული ფეხბურთის ამჟამინდელი კანონები ევროკავშირის კანონებს უნდა მიესადაგოს. თუ ეს განხორციელდა, ასეთ შედეგებს მივიღებთ: უეფა და ფიფა ბუმბულს გაარჩევენ, ხოლო მდიდარი კლუბები თავ-თავისი ლიგებიდან ლილინით გავლენ და საკუთარს შექმნიან, როგორც მანდერსი ამბობს, ევროკავშირის ლიგას. კანონპროექტს მარტში, ევროპარლამენტის სხდომაზე უყრიან კენჭს. „ლენინმა“ თუ გაიმარჯვა, საფეხბურთო კლუბების საქმიანობა კომერციული კორპორაციებისას გაუთანაბრდება, რომლებსაც ევროკავშირის საკანონმდებლო ნორმებით სრული თავისუფლება აქვთ. ეს კი ნიშნავს, რომ უეფას თუ ფიფას კლუბების გაკონტროლების არანაირი უფლება არ ექნებათ, რაც, სავარაუდოდ, ეროვნული ჩემპიონატების დაშლას და ბობოლების გაერთიანებას გამოიწვევს.

## ყარა-ბახ! პლატინი კავკასიას აფეთქებს

ერთი კაცის ხელმოწერაა საჭირო საიმისოდ, რათა სომხეთ-აზერბაიჯანის დაკონსერვებული კონფლიქტი ხელახლა გაღვივდეს. ეს კაცი გახლავთ ევროპის ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი, უეფას ახალი პრეზიდენტი მიშელ პლატინი. და რატომ უნდა გახდეს პლატინი ომის მიზეზი? შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი ევრო 2008-ის პირველ შესარჩევ ჯგუფში წილისყრამ ერთად შეყარა და ამ ქვეყნების ნაკრებები ერთმანეთს მოედანზე უნდა შეხვდნენ. ჯერ კიდევ წილისყრიდან რამდენიმე დღეში საქართველოშიც გამოჩნდნენ მოხალისეები, არიქა, მეზობლები თბილისში ვათამაშოთო, არადა, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფეხბურთის შეფები ჯერაც ფიქრობენ და ვერ მოუფიქრებიათ, სად ითამაშონ, თუკი ამას თამაში ერქმევა.

აზერბაიჯანის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ფუად ასადოვმა მიშელ პლატინის პირველი საგამოცდო ბილეთი უკვე გაუგზავნა. ასადოვმა თქვა: „თუ პლატინი ხელს მოაწერს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მატჩები ერევანში და ბაქოში უნდა გაიმართოს, ის გახდება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ხელახლა გაღვივების მიზეზი და მთავარი დამნაშავე. ჩვენ არ ჩავალთ სათამაშოდ ერევანში და არც სომხებს მივიღებთ ბაქოში.“

საქმე კი ისაა, რომ დიუსელდორფში, უეფას პრეზიდენტის არჩევნებისას, სომხები და აზერბაიჯანელები ვერ მორიგდნენ. სომხეთი მატჩების ერევანში და ბაქოში გამართვას იჩემებენ, რასაც არ ეთანხმებიან მათი მეზობლები და ნეიტრალურ ალაგს ითხოვენ.

პირველი შეხვედრა, წესით, 8 სექტემბერს, აზერბაიჯანში უნდა შედგეს, საპასუხო კი — ოთხი დღის შემდეგ სომხეთში.

რას იზამს მიშელ პლატინი? გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად ვერ მიიღებს, რადგან ეს საქმე თებერვლის შუა რიცხვებში უეფას აღმასკომმა უნდა გაარჩიოს, ხოლო პლატინიმ ბეჭედი დაუსვას. აღმასკომის საგანგებო სხდომაზე სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეხბურთის შეფები არ დაპატიჟეს.

## ფელიქსი აღარ არის მაგათი, მაგათი უკვე ჰიცფელდია





## პენსიონერ დრაკულას ჩვენი სისხლი მობეზრდა



„მორჩა, საბოლოოდ გადავწყვიტე. ეროვნულ ნაკრებში აღარ ვითამაშო. აღარც ასაკი მიწყობს ხელს და აღარც მოტივაცია შემრჩა. რუმინეთის ნაკრებში რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი მოვიგე და მსოფლიოს თასზეც ვითამაშე“— განაცხადა 33 წლის პეტრე მიტუმ და რუმინეთის ნაკრებს ერთხელაც, მაგრამ, ეტყობა, საბოლოოდ გამოეთხოვა.

ახლა უკვე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ 3 თებერვალს ერთა თასის პირველ მატჩში ჩვენებს რუმინელების ყოჩი აღარ დაუპირისპირდება. ხოლო ვინ არის პეტრე მიტუ რუმინეთისთვის, ამაზე სტატისტიკა მეტყველებს: საქართველო და რუმინეთი აქამდე ცხრაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. მიტუთი რუმინელებმა ექვსჯერ მოგვიგეს, ხოლო მის გარეშე დარჩენილ რუმინელებს ჩვენებმა ჯერ ბუქარესტში, მერე კი თბილისში გამოუყვანეს წირვა.

„ქართველების დრაკულა ნაკრებიდან წავიდა“ — ასე გამოეხმაურა ერთ-ერთი რუმინული სარაგბო ვებგვერდი ამ ამბავს.

# სიონი: არც ალუშტა, არც უკრაინა

## არაა შეკრება? იქნება ტრანსფერები



შოთა ბაბუნაშვილი

ბოლნისის „სიონი“ 3 თებერვალს უკრაინულ ალუშტაში უნდა გამგზავრებულიყო შეკრებაზე, თუმცა გეგმები შეიცვალა — კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვაცნობა, ალუშტაში დიდთოვლობაა, ძალიან ცუდი პირობებია და წასვლა ვერ მოხერხდა.

ალტერნატიულ ვარიანტად ბოლნისელებს ანთალია ჰქონდათ, მაგრამ აქ ვიზების პრობლემებმა წამოყო თავი: კამერუნელებზე, ბოიომო ფრიდოლინზე, ერიკ რომეო ჩასემზე და გასტონ ევოჩეზე „სიონს“ შეუთვალეს, ერთ თვეში მივცემთ ვიზებსო. აფრიკელთა გარეშე კი ქვემოქართლელებმა თურქული შეკრება უაზრობად ჩათვალეს.

„დღე-დღეზე თბილისში დავბინავდებით, საქართველოს თასისა და ჩემპიონატის განახლებამდე ოთხ ტესტ-მატჩს გავმართავთ. სავარაუდოდ, 3 თებერვალს „ბორჯომს“ შევხვდებით, მერე კი აზერბაიჯანში ვაპირებთ ჩასვლას ორი ამხანაგური თამაშის ჩასატარებლად“ — გვითხრა ჭიპაშვილმა.

მოკლედ, არც ალუშტა, არც ანთალია... სამაგიეროდ, „სიონს“ შეკრებაზე წასასვლელი ფული დაეზოგა, რითაც ტრანსფერებზე იაქტიურებს. გეცოდინებათ, ლევან სილაგაძე და ვიტალი დარასელია „თანამეგობრობის თასზე“ თამაშის შემდეგ მოსკოვში დარჩნენ და უცხოურ ვარიანტებს ელოდნენ, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, აქედან არაფერი გამოვიდა. „სიონს“ ორივე მათგანის დამატება სურს და, თუ რამე არ აირია, ალბათ, შეთანხმებაც შედგება.

გარდა ამისა, ბოლნისელები ექსბათუმელ ზურაბ ექონიასთან, „ჩიხურადან“ წამოსულ ლევან სანიკიძესთან და თბილისის დინამოელ შოთა ბაბუნაშვილთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. როგორც შევიტყვეთ, ისინი კახა ცხადაძის გუნდში ვარჯიშობენ. ამ სამეულიდან შედარებით საჭოჭმანო იქნება ბაბუნაშვილის გადაბირება, რომელსაც სხვა გუნდებიც იწვევენ.

**ილია ნანობაშვილი**

# იონა: ლვოვის წაილო რიონმა ზესტაფონმა კარპატები გადალახა

**თურქეთში** შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ გუშინ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა — იმერლები ლვოვის „კარპატის“ გაეჯიბრნენ და 3:0 დაამარცხეს.

ზესტაფონელთა უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა. უკვე მე-14 წუთზე ლვოველთა კარში დანიშნული პენალტი ზურაბ იონანიძემ გოლად აქცია.

მეორე ტაიმში იმავ იონანიძემ საჯარიმოს მისადგომებიდან მეორედ მოახერხა გატანა. საბოლოო წერტილი კი შეხვედრას ედიკ საჯაიას შორეულმა გასროლამ დაუსვა — 3:0.

ზესტაფონელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ჭანტურია, ს. თოდუა, რ. ონიანი, სანტოსი, ყონაშასი, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე, საჯაია, ნ. კვასხვაძე, ვიეირა, იონანიძე. შეცვლაზე შევიდნენ: რ. კვასხვაძე, ლეანდრო, ბ. ნოზაძე, ა. ბენაშვილი, გ. ხიდეშელი, ჯანელიძე, პარამონოვი.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თურქული გრაფიკი

**7 თებერვალს** საქართველოს ეროვნული ნაკრები თურქეთს ამხანაგურად რომ გაეჯიბრება, ძველი ამბავია. ეს მატჩი „ეროვნულზე“ 21 საათზე გაიმართება, იმავე დღეს 13 საათზე კი „მიხეილ მესხზე“ საქართველოსა და თურქეთის ახალგაზრდული ნაკრებები გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქართულ მხარეს თავისი გუნდების განრიგი აცნობა, რასაც აქვე გთავაზობთ...

თურქეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები თბილისში 6 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში ჩამოვლენ.

19.30 საათზე სტუმართა ეროვნული გუნდი „ეროვნულზე“ ივარჯიშებს, ხოლო ახალგაზრდულები 18.45 საათზე ეწვევიან „მიხეილ მესხს“.

ორივე ნაკრები თბილისიდან ეროვნულ ნაკრებთა მატჩის დასრულებისთანავე გაემგზავრება.

**ბახა შალამბერიძე**

# თბილისის დინამომ წაუგებელს მოუგო

## დუშან უჰრინმა შეცდომები გაასწორა

**თბილისის** „დინამომ“ გუშინ ანთალიაში მეორე საკონტროლო შეხვედრა გამართა. დუშან უჰრინის შეგირდები უკრაინულ „ვორსკლას“ გაეჯიბრნენ და 2:0 მოუგეს.

სათქმელია, რომ პოლტაველებისთვის „დინამო“ შეკრებაზე მეექვსე მეტოქე იყო — უკრაინელები აქამდე წაუგებლად მიდიოდნენ, თანაც სულ ერთი გოლი ჰქონდათ გაშვებული. ჩვენებმა კი „ვორსკლას“ პირველი მარცხი და თან ერთბაშად ორი გოლი აგემეს.

უჰრინის შემადგენლობა ასეთი იყო: *ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, კრაშკო, თომაშვილი, ფეიქრიშვილი, ხმალაძე, დიღმელაშვილი, ს. კობახიძე, გ. მერებაშვილი, ს. იაშვილი.*

შეცვლაზე შევიდნენ: *გრიშიკაშვილი, ლ. ნოზაძე, ზ. ჯანაშია, ხუციშვილი, ფაბიო, დვალი.*

თბილისელებმა პირველი გოლი შუა პირველი ტაიმში გაიტანეს — ლევან ხმალაძემ დასწრებაზე ითამაშა, ხოლო სანდრო იაშვილმა ჩინებული პასით გიორგი მერებაშვილს გაატანინა.

მოგვიანებით მერებაშვილი დაშავდა და მის ნაცვლად მიხეილ ხუციშვილმა ითამაშა, ვისაც ორი ნაღდი საგოლე მომენტი გაუცუდდა — ერთხელ მეკარემ აჯობა, მეორედ კი მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა.

მეორე გოლი „ვორსკლამ“ 67-ე წუთზე მიიღო — საჯარიმოდან დავით დიღმელაშვილის ჩაწოდებულს ხმალაძემ ზუსტი თავური შეაგება.

დინამოელების თქმით, „ვორსკლასთან“ ჩვენები ძალიან მობილიზებულნი იყვნენ, სწრაფად თამაშობდნენ და, რაც მთავარია, ცოტა იყო შეცდომები.

თბილისელებს ანთალიაში კიდევ სამი შეხვედრა აქვთ და გუნდის თამაშის ხარისხზე ალბათ მერე უფრო ბევრი გვექნება სათქმელი.

**ლუკა თალაკვაძე**

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXV ტური

ჩელსი 3:0 ბლექბერნი

ბოლტონი 1:1 ჩარლტონი

მანჩესტერი 4:0 უოტფორდი

ნიუკასლი 3:1 ასტონ ვილა

ევერტონი — ტოტენჰემი გადაიდო

ჩემპიონატი. XXX ტური

საუთჰემპტონი 2:1 უენსდი

ვესტ ბრომვიჩი 2:1 პლიმუთი

პირველი ლიგა

გადადებული მატჩები

ბრისტოლი 0:1 ჩელტენემი

კარლაილი 1:0 ნოტინგემი

ლიგის თასის 1/2 ფინალი

საპასუხო მატჩი

არსენალი 3:1დ.დ. (1:1) ტოტენჰემი (2:2)

### გერმანია

ბუნდესლიგა. XIX ტური

ლევერკუზენი 0:2 ვერდერი

ჰამბურგი 1:1 კოტბუსი

ჰანოვერი 5:0 ჰერტა

მაინცი 1:0 დორტმუნდი

შალკე 2:1 ალემანია

### ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი

პირველი მატჩები

დეპორტივო 4:1 ვალიადოლიდი

ხეტაფე 3:0 ოსასუნა

ბარსელონა 0:1 სარაგოსა

### საფრანგეთი

თასის მერვედფინალი

*ნანტი* 1:0დ.დ. (0:0) ლილი

კლერმონი 1:4 *ლანსი*

*მონაკო* 5:4პენ. (2:2დ.დ., 1:1) ბორდო

მარსელი 0:1 *ლიონი*

### საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები

*ლარისა* 2:0 კერკირა (0:0)

*ძსანთი* 1:0 ილისიაკოსი (2:0)

ოლიმპიაკოსი 2:1დ.დ. (2:0) *იანინა* (0:2)

*პანათინაიკოსი* 3:1დ.დ. (2:1) პაოკ (1:2)

### თურქეთი

თასის მეოთხედფინალი

ტრაბზონი 1:0 გაზიანთეფი

ბეშიქთაში 4:0 მანისა

### შოტლანდია

ლიგის თასის

ნახევარფინალი

სენტ ჯონსტონი 1:3დ.დ. *ჰიბერნიანი*

### იტალია

თასის ნახევარფინალი

საპასუხო მატჩი

*რომა* 3:1 მილანი (2:2)

# წასვლა მინდა. უმადურობა არა

დღეს თბილისის „ვიტ ჯორჯია“ თურქეთში მიემგზავრება შეკრებაზე, სადაც ოთხ ტესტ-მატჩსაც გამართავს. გუნდის სამომავლო გეგმებსა და თურქულ შეკრებაზე ვიტჯორჯიელთა ერთ-ერთ ლიდერ პაატა დათუნაიშვილს ვესაუბრეთ...



— თურქეთში წასვლამდე ორი ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ. მწვრთნელმა ფეხბურთელები ორ ჯგუფად დაგვყო. პირველმა ჯგუფმა, რომელშიც ჩემი ძმაც თამაშობდა, მოყვარულთა ნაკრებს 6:0 მოუგო, ჩვენ კი მეორე დღეს ვითამაშეთ „ნორჩ დინამოელთან“ და 2:0 მოვიგეთ.

— ახლა კი თურქეთში მიდიხართ...

— თურქეთში ორი კვირა მოვემზადებით. ვიცი, რომ იმ სასტუმროში დავბინავდებით, სადაც შარშანწინაც ვიყავით. კარგია, რომ რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გავმართავთ.

— „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი სექტემბერში გიმთავრდება, გუნდის დატოვებას ხომ არ აპირებ?

— ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. რა თქმა უნდა, მინდა, წინ წავიწიო, საზღვარგარეთ წასვლა ალბათ დადებითად იმოქმედებდა ჩემს თამაშზე, მაგრამ არ მინდა, ისე გამოვიდეს, უმადურობა დამაბრალონ. ვფიქრობ, კლუბის ინტერესებშიც შედის ჩემი უცხოეთში გაშვება.

— დავით დიღმელაშვილმა და გიორგი ფეიქრიშვილმა კი გუნდი უკვე დატოვეს. ამის გათვალისწინებით, მეორე წრეში ალბათ გაგიჭირდებათ ლიდერთა შორის ყოფნა...

— ჩვენ ყოველთვის სერიოზული მიზნები გვქონდა. ამ ჩემპიონატის დაწყებამდე ოთარ მარცვალაძემაც დატოვა გუნდი, მაგრამ მაინც კარგი შედეგი ვაჩვენეთ. დიღმელაშვილი ჩვენი გუნდის ხერხემალი იყო, რა თქმა უნდა, ცუდია, რომ წავიდა, მაგრამ მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. ისე კი, ძალიან ძნელია მისი შემცვლელის პოვნა... ვნახოთ, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით...

**სალომე ხარატიშვილი**



# რეიტინგი

## გოგუა და ჰართსი საქართველომ ჩაშალა

გოგიტა გოგუას „ჰართსში" ტრანსფერი ბრიტანულმა კანონებმა რომ ჩაშალა ეს გუშინ შოტლანდიური კლუბის ლიტველმა მწვრთნელმა ვალდას ივანაუსკასმაც დაგვიდასტურა.

მიუხედავად იმისა, რომ „ჰართსს" გულით ეწადა ჩვენიანის დამატება და გოგუასთვის სამუშაო ვიზის გაცემის თაობაზე შესაბამის უწყებასთან ბოლომდე იბრძოლა და აპელაციაც აფრინა ბრიტანელი ჩინოსნების კაბინეტებში, ამ საქმიდან რაც გამოვიდა, თავად ხედავთ. სხვა ამბები კი „ჰართსის" მწვრთნელმა ვალდას ივანაუსკასმა გვითხრა..

თუმცა შოტლანდიამდე ჯერ აქვე, საქართველოში ბრიტანეთის საკონსულოს პრესსამსახურში ვიკითხეთ გოგიტა გოგუას სავიზო პრობლემის მიზეზზე...

„მიიღო თუ არა საქართველოს მოქალაქემ ბრიტანეთის სამუშაო ვიზა, რა მიზეზით ეთქვა უარი და სხვა ამდაგვარ საკითხებზე ინფორმაციას ვერ მოგაწვდით, ეს კონფიდენციალურია. ხოლო რაც შეეხება ფეხბურთელის განცხადებას, ბრიტანეთის საელჩოში არ შემიშვესო, გეტყვით, რომ სამუშაო საათებში ასეთი პრობლემა მას არ შეჰქმნია" — ასეთი პასუხი მივიღეთ ბრიტანეთის საკონსულოდან ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე...

*ვალდას ივანაუსკასს* კი ყოველ სიტყვაში ეტყობოდა, რომ გოგუას ჩაშლილმა ტრანსფერმა მას ძალიან დაწყვიტა გული...

— საშინლად იმედგაცრუებული ვარ. საქმე, რომელიც სხვა პრობლემების მიუხედავად მოგვარებული გვეგონა, მოულოდნელად ასე შემოგვიტრიალდა. ახლა უკვე ვერც „ჰართსი", ვერც ფეხბურთელი და ვერც ვერავინ სხვა ამ ტრანსფერს ველარ გააკეთებს. ყველაფერი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა. სხვა გზა ალარ გვაქვს, ზაფხულამდე უნდა მოვითმინოთ...

**— იმედი გაქვთ, რომ ზაფხულში მაინც მოხერხდება ეს ტრანსფერი?**

— ყოველ შემთხვევაში, გვითხრეს, ზაფხულში მეტი შანსი იქნება გოგუას ბრიტანეთის სამუშაო ვიზა მისცენო. თანაც იმის იმედიც გვაქვს, რომ მომავალში ნაკრებში უფრო წარმატებით ითამაშებს. საქართველოს ნაკრებში იმდენი კარგი ფეხბურთელია, რეიტინგში გაცილებით მაღალ ადგილს იმსახურებს.

**— მაინც რატომ არ მისცეს გოგუას ბრიტანეთის სამუშაო ვიზა?**

— როგორც გვითხრეს, ბრიტანული კანონები არ იძლევა ამის საშუალებას. თურმე არაევროკავშირელი ფეხბურთელის ქვეყანა ფიფას რეიტინგის პირველ 75 გუნდს შორის უნდა იყოს, საქართველო კი გაცილებით უკან არის. როგორც კი უარი გვითხრეს, მაშინვე აპელაცია შევიტანეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა და გვირჩიეს, ზაფხულამდე მოითმინეთო.

**— ისე, უცნაურია, შოტლანდიაში ქართველები აქამდეც თამაშობდნენ, ახლა ინგლისშიც არის ერთი ქართველი. მათ როგორ მიიღეს ვიზები?**

— უკვე ორი წელიწადია, კანონი უფრო გამკაცრდა. მაშინ არაევროკავშირელთა ტრანსფერებს ახლანდელზე გაცილებით მარტივად უყურებდნენ.

**— კი მაგრამ, როცა გოგუას გადაბირება გადაწყვიტეთ, არ იცოდით ამ კანონის თაობაზე?**

— ვიცოდით, მაგრამ მაინც ვცადეთ. დიდი იმედი გვქონდა, რომ ეს საქმე წარმატებით დასრულდებოდა, არც გვიფიქრია, ასეთ პრობლემებს თუ შეგვიქმნიდნენ...

**— მოკლედ, „ჰართსი" გოგუას ზაფხულამდე დაელოდება და თან საქართველოს ნაკრებს უქომაგებს...**

— ასე გამოდის... ძალიან გაწბილებული ვარ, გოგიტა თავადაც მოწადინებული იყო, კარიერა ჩვენთან გაეგრძელებინა, მას დიდი ფეხბურთის თამაში სურს, მაგრამ... იმედი მაქვს, ზაფხულამდე თავისი დონის შესაფერისი გუნდი მიიწვევს და მერე მაინც ჩვენთან გადმოვა. გოგუას დიდი მომავალი აქვს.

**ქობა ინასარიძე**

# მეორე დარტყმა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან.

## 70 და 95 — გოგიტა გოგუა რიცხვებმა ჰართსში ვერ ჩარიცხა

**გოგიტა გოგუას ჩახვეულ-ჩახლართულ სატრანსფერო პერიპეტიებს „ჰეფი ენდი" არ მოჰყვა — საქართველოს ეროვნული ნაკრების 23 წლის შუახაზელი ედინბურგის „ჰართსში" იმიტომ ვერ ჩაირიცხა, რომ HOME OFFICE-მა მასზე სამუშაო ვიზა არ გასცა.**

**BBC იუწყება, „ჰართსი" გოგუასთვის სამუშაო ვიზის მოპოვებას კი ეშურებოდა, მაგრამ ჩაფლავდაო. შოტლანდიური ვებგვერდი SCOTSMAN.COM უფრო დეტალურად განმარტავს საქმის არსს და იტყობინება, HOME OFFICE-მა „ჰართსის" პირველ აპლიკაციაზე უარი თქვა, მერე „ჰართსმა" აპელაცია კი შეიტანა, მაგრამ გოგუასთვის სამუშაო უფლების მოპოვებაში მაინც დამარცხდაო. HOME OFFICE ბრიტანეთში დაახლოებით ის არის, რაც ჩვენთან შინაგან საქმეთა სამინისტრო**



გოგუა იანვრის შუა რიცხვებში გაემგზავრა შოტლანდიაში, ივარჯიშა „ჰართსში" და კლუბს პირობებზე მოურიგდა, მაგრამ მერე თავისი პრეტენზიები წამოაყენა ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების მფლობელმა ანდრეი ჩერვიჩენკომ. გარიგება ამით კი შეფერხდა, მაგრამ ეს გადაულახავი დაბრკოლება არ გამოდგა — საქმე ფულს ეხებოდა და მხარეებმა ყველაფერზე მოილაპარაკეს — გოგუა ჯერ სეზონის ბოლომდე იჯარით ითამაშებდა „ჰართსში", მერე კი მოლაპარაკების ახალი სტადია გაიმართებოდა.

ამის შემდეგ გოგუა თბილისში დაბრუნდა და ბრიტანეთიდან სამუშაო ვიზას ამაოდ ელოდა.

ძველი წესით, არაევროკავშირული ქვეყნიდან ბრიტანეთში გადამსვლელ ფეხბურთელს ბოლო ორი წლის მანძილზე ეროვნულ ნაკრებში მატჩების დაახლოებით 75 პროცენტი უნდა ჰქონოდა ნათამაშევი, მაგრამ ამას ახალი წესიც დაერთო — ფეხბურთელი, ვინც ბრიტანეთში ეშურება გადასვლას, ისეთი ქვეყნიდან უნდა იყოს, ფიფას რეიტინგში მოწინავე პოზიციაზე რომ არის. ეს წესი მოქმედებს იმ ფეხბურთელებზეც, რომელთა ქვეყანა ევროკავშირის წევრია — ასეთი განმარტება გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც გამოამზეურა.

გოგუას ჰართსულ ტრანსფერზე რამდენიმე აგენტი მუშაობდა, მათ შორის, გოჩა თამაზაშვილიც, რომელმაც გვითხრა, თუ ფეხბურთელის ქვეყანა ფიფას რეიტინგში 70-ზე ქვევით არ არის, სამუშაო ვიზას უპრობლემოდ იღებენ, ხოლო თუ მის ქვეყნას 70-ზე დაბალი ადგილი უკავია რეიტინგში, მისთვის სამუშაოს ვიზის გაცემა პრობლემატურია, მაგრამ არა შეუძლებელიო.

ერთი სიტყვით, ბრიტანულ კანონში არის ნაპრალი, რაც ალვივებდა გოგუას ტრანსფერის შანსს ანუ კანონში არ არის დაწესებული კონკრეტული ცენზი ფიფას რეიტინგის მიხედვით.

საქართველო კი ფიფას რეიტინგში ამ დროისთვის 95-ე ადგილზეა, რაც 70-დან ძალიან შორს ნამდვილად არ არის. ფიფაში სულ 207 წევრი ქვეყანაა.

გოგუას კარიერაში ეს არ არის პირველი გაწბილება და პირველი დაბრკოლება. 2001 წელს, როცა თბილისის „დინამო" ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაისაკუთრა და მერე ბადრი პატარკაციშვილს მიჰყიდა, „დინამოში" საკადრო საკითხებს მეტწილად პოლიციის მაღალჩინოსნები მართავდნენ და მათმა ფავორიტმა სამწვრთნელო შტაბმა „დინამო 2"-ში მოთამაშე გოგუა უუნარო ფეხბურთელად მიიჩნია და გუნდიდან გაუშვა.

გოგუას მხარში ამოუდგა ჯემალ ჩიმაკაძე, „დინამოდან" იმავე პერიოდში დათხოვნილი მწვრთნელი, ვინც გოგიტას ფეხბურთში დარჩენის სურვილს უმძაფრებდა, რამეთუ ის სხვა პროფესიის არჩევას აპირებდა. გოგუა ჩიმაკაძის მითითებებით აგრძელებდა ვარჯიშს და რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ახალ გუნდშიც მოეწყო — „თბილისში", სადაც ისე გამოიჩინა თავი, რომ ალენ ჟირესმა ეროვნულ ნაკრებში უხმო.

ამასობაში მოულოდნელად გარდაიცვალა ჩიმაკაძე, ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ „თბილისის" ფინანსური საყრდენი მოფანფალდა, გოგუა „დინამომ" მოისურვა, მაგრამ „დინამოს" მაშინდელმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ და მოთამაშემ საერთო ენა ვერ გამონახეს.

გამოჩნდა სხვა, ევროპული კლუბების ვარიანტებიც, მაგრამ გოგუამ ლოდინს უკვე ნაღდი არჩია — რუსეთის პირველი დივიზიონის „ხიმკი".

„ხიმკის" მწვრთნელმა პაველ იაკოვენკო გოგუას დიდად არ ენდობოდა, ძირითადში, ფაქტობრივად, არ ათამაშებდა.

უთანხმოება წარმოიშვა კლუბშიც — „ხიმკის" პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო კლუბიდან თავისი წილით გამოვიდა და სწორედ მაშინ მოჰყვა გოგუაზე სატრანსფერო უფლება მის აქციებში.

შარშანდელი სეზონი კი გოგუამ რუსეთის პრემიერლიგის „ნალჩიკში" ისე ჩაატარა, რომ „სპორტ-ექსპრესის" შეფასებით, რუსული პრემიერლიგის საუკეთესო ახალბედა შეიქნა...

არ არსებობს ცუდი კარგის გარეშე — ასეთი სიბრძნე გოგუას კარიერას ლაიტმოტივივით გასდევდა და ჩაშლილი „ჰართსის" შემდეგ მას კიდევ ერთ გაბრწყინებას უნდა უქადდეს...

**დავით თავართქილაძე**

### საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბის ტურნირი მინი-ფეხბურთში

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბი ატარებს ფან-კლუბის წევრების ტურნირს მინი-ფეხბურთში, რომელიც 1 მარტს დაიწყება და მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ფან-კლუბის საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელებს, ანუ გუნდის ყველა მოთამაშე აუცილებლად უნდა იყოს ფან-კლუბის წევრი. გუნდის შეკრება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, როგორც თბილისელს, ასევე რაიონში მცხოვრებ გულშემატკივარს. გუნდს აქვს უფლება, ფან-კლუბთან შეთანხმებით, ჰყავდეს სპონსორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ პირად ხარჯებს (მოთამაშეების გაწევრიანებას, გადაადგილებას და ა.შ.).

თბილისსა და ბათუმში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან სუპერფინალში.

განცხადებები მიიღება დღეიდან 20 თებერვლამდე.

დაგვიკავშირდით ნომერზე 542 542

ან მოგვწერეთ GEO_FANCLUB@YAHOO.COM

# დაინიშნა და გამოფინა

## ალექს მაკლიშმა იცის: იტალიამდე საქართველოა



**ალექს მაკლიში** შოტლანდიის ნაკრების თავკაცად ხეირიანად დანიშნულიც არ იყო, უკვე 30-კაციანი გაფართოებული სია გამოაცხადა. მათ შორისაა ინგლისური „ევერტონის“ ფორვარდი ჯეიმს მაკფადენიც, რომელიც ტრავმირებულია და თუნდაც ჯანზე იყოს, 24 მარტს საქართველოს ნაკრებთან „ჰემპდენ პარკზე“ მაინც ვერ იბურთავებს — მაკფადენს, „სელტიკის“ კევინ პრესლისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დარენ ფლეტჩერს დისკვალიფიკაცია აქვთ.

სქოთთა ახალი თავკაცი მომავალ კვირას შეკრებს 30-მდე ფეხბურთელს და, უბრალოდ, გუნდს გაეცნობა, თან თეორიულ მეცადინეობასაც ჩაატარებს.

7 თებერვალს ამხანაგური მატჩების დღეა, თუმც შოტლანდიელები ძირითადი შემადგენლობით არ ითამაშებენ — სქოთთა და ფინელთა B ნაკრებები გლაზგოში შეხვდებიან ერთმანეთს.

ახლა კი მაკლიშის 30-კაციანი სიაც ვნახოთ...

*მეკარეები:* ნილ ალექსანდერი (კარდიფი), პოლ გალაჰერი (ნორვიჩი), კრეიგ გორდონი (ჰართსი), ალან მაკგრეგორი (გლაზგო რეინჯერსი);

*მცველები:* გრემ ალექსანდერი (პრესტონი), რასელ ანდერსონი (აბერდინი), გარი კოლდუელი (სელტიკი), სტეფან მაკმანუსი (სელტიკი), სტივენ პრესლი (სელტიკი), სტივენ კოლდუელი (სანდერლენდი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი), კევინ მაკნაუტონი (კარდიფი), გრემ მარტი (რედინგი), გარი ნეისმიტი (ევერტონი), რობი ნილსონი (ჰართსი), დევიდ ვეირი (გლაზგო რეინჯერსი), ენდი ვებსტერი (უიგანი);

*ნახევარმცველები:* ბარი ფერგიუსონი (გლაზგო რეინჯერსი), იან მიურეი (გლაზგო რეინჯერსი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ ჰარტლი (ჰართსი), რიჩარდ ჰიუზი (პორტსმუთი), ლი მაკკალოჰი (უიგანი), ნაიჯელ ქუოში (ვესტ ჰემი), სკოტ სევერინი (აბერდონი), გარი ტილი (დერბი);

*თავდამსხმელები:* კრის ბოიდი (გლაზგო რეინჯერსი), ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი), კენი მილერი (სელტიკი), სტივენ ტომპსონი (კარდიფი).

[illegible] ნორი, რომელსაც უოლტერ სმიტის ნაკრებში პრობლემები ჰქონდა — კერძოდ, უკრაინასთან მატჩისთვის შეკრებაზე არ გამოცხადდა და მოგვიანებით ბოდიში მოიხადა.

მაკლიშმა თქვა, ოკონორის თემაზე კიდევ ვიმსჯელებთო.

„მამაცი გულების“ მთავარკაცს 2008 წლის ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლზე რომ შეეკითხნენ, უპასუხა: „ვიცით, რომ ურთულეს ჯგუფში ვართ. ოთხი მატჩიდან ცხრა ქულა რომ გვაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იოლად გავძლებთ ჯგუფიდან. 24 მარტს გლაზგოში საქართველოს, 28-ში კი ბარიში იტალიას ვეთამაშებით. ხალხი იტალიელებთან მატჩზე ლაპარაკობს, მაგრამ საქართველოც ძალიან ძლიერი გუნდია. მას კარგი ფეხბურთელები ჰყავს და ვიცი, უმძიმესი თამაში გვექნება.“

**ილია ნანობაშვილი**

# აშვეთია და ლომაია: ყველაფერი კიოლნისთვის

მიხეილ აშვეთიას და გიორგი ლომაიას კვირას „კიოლნთან“ თამაშის უფლება აქვთ — ეს გუშინ გადაწყდა, როცა იენის „კარლ ცაისში“ მათი გათავისუფლების ფურცლები მივიდა, გუშინ ხომ ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღე იყო და საქმეც დაჩქარებას ითხოვდა.

აშვეთიამ კი ლაიპციგურ გუნდთან გუშინწინდელ ტესტ-მატჩში ფეხის თითი დაიზიანა და გუშინ რენტგენი გადაუღეს — საშიში არაფერია და ჩვენიანი „კიოლნთან“ სათამაშოდ მზად იქნება.

**ილია ნანობაშვილი**



# მერანიდან ისრაელში

**თბილისის** „მერანს“ საშუასეზონო პერიოდში გამოცდილი ფორვარდი, 31 წლის ზაზა ზირაქიშვილი შეუერთდა და აქამდე ვარჯიშობდა კიდეც სერგო კუტივაძის გუნდში, მაგრამ „მერანის“ და 2000-01 წლების საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გზები გაიყარა — ზირაქიშვილი „მერანში“ უკვე აღარ ვარჯიშობს, რადგან ისრაელში აპირებს წასვლას. ზაზა მალევე უნდა გაემგზავროს აღთქმულ მიწაზე და ისრაელის უმაღლესი ლიგის „ჰაოა მაკაბი ამადარში“ ჩაირიცხოს.

როგორც ზირაქიშვილმა გვითხრა, ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია. „ამადარი“ თორმეტგუნდა ლიგაში მეთერთმეტე ადგილზეა.

**ნიკა ჯორჯაძე**

# საქართველო — ბრაზილია ფუტსალშიც გველის

**საქართველოს** ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივნის ბექა კვიციანის თქმით, ორი ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბრაზილიის ფუტსალის ასოციაციასთან. ასოციაციის საგარეო საქმეთა მმართველ ფერნანდო ფერნანდესთან სიტყვიერი შეთანხმებით, მატჩები ბრაზილიის უდიდეს ქალაქ რიო დე ჟანეიროში უნდა გაიმართოს.

კვიციანისვე თქმით, შესაძლოა, ეროვნულ ნაკრებთა გარდა, საქართველო — ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრებებიც გაეჯიბრონ ერთმანეთს.

**ბახა შალამბერიძე**

# თურქეთში შეკრებაზე მყოფი...

**თურქეთში** შეკრებაზე მყოფი ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ საკონტროლო მატჩში ხორვატიულ „რიეკას“ გაეჯიბრა და 2:0 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი დავით კვირკველია დაცვის მარცხენა ფლანგზე გაისარჯა და შეტევებშიც აქტიურად ერთვებოდა. დაცვის მარჯვენა ფრთა კი უკრაინელთა კიდევ ერთ ქართველს,

# უკრაინელთა ქართული ფრთები

## აქეთ კვირკველია, იქით ციმაკურიძე

ზაპოროჟიულ კლუბში გასინჯვაზე მყოფ გიორგი ციმაკურიძეს ებარა.

ჟურნალისტებმა ციმაკურიძის თამაშიც კარგად შეაფასეს და ივარაუდეს, რომ დიდი შანსია, „მეტალურგმა“ მალე კონტრაქტი გაუფორმოსო. „მეტალურგის“ მესამე ქართველი, თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე კი ისევ ტრავმირებულია და ჯერჯერობით უქმობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბლოხინს რებროვი შევჩენკოში შეეშალა

**7 თებერვალს** ამხანაგურ მატჩს ატარებს ჩვენი მეტოქე უკრაინაც. ოლეგ ბლოხინის გუნდი თელ ავივის „რამატ გან სტადიუმზე“ ისრაელის ნაკრებს გაეჯიბრება.

ბლოხინმა საამმატჩოდ 21 ფეხბურთელი გამოიძახა და, მათ შორის, ანდრეი შევჩენკოც, ვისაც, ერთი ხანობა, დასვენებას უპირებდა...

„ანდრეის სათამაშო პრაქტიკა აკლია და თავად მთხოვა, გამომეძახებინა“ — განმარტა მწვრთნელმა.

საინტერესოა ისიც, რომ გამოძახებულთა შორის არ არის კიევის „დინამოს“ კაპიტანი სერგეი რებროვი, რომელზეც ბლოხინმა ეს თქვა: „ამ ფეხბურთელის შესაძლებლობები კარგად ვიცი, ამიტომ დიდად მნიშვნელოვანი არ იქნებოდა მისი ამხანაგური მატჩისთვის მოცდენა“.

*მეკარეები:* ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ბოგდან შუსტი (შახტარი);

*მცველები:* ალექსანდრ რომანჩუკი (დინამო), ალექსანდრ კუჩერი (შახტარი), ვიაჩესლავ სვიდერსკი (შახტარი), დმიტრი ჩიგრინსკი (შახტარი), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), ვლადიმირ ეზერსკი (დნიპრო);

*ნახევარმცველები:* ოლეგ გუსევი (დინამო), რუსლან როტანი (დინამო), ტარას მიხალიკი (დინამო), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი), სერგეი ნაზარენკო (დნიპრო), ოლეგ შელაევი (დნიპრო), ევგენი ლევჩენკო (გრონინგენი, ჰოლანდია);

*თავდამსხმელები:* არტიომ მილევსკი (დინამო), ალექსეი ბელიკი (შახტარი), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, ინგლისი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია).

**ბახა შალამბერიძე**

# უჯაკობიო მეტალისტი მიკუჩაძემ დაჩაგრა

**ასეც** ხდება: ისრაელის მეორე ლიგის მესამეადგილოსანმა უკრაინის უმაღლესი ლიგის მესამეადგილოსანს მოუგო — ბეერშევას „ჰაპოელმა“ ტესტ-მატჩში ხარკოვის „მეტალისტს“ 2:1 სძლია.

ჩვენთვის კი ეს თამაში იმითაა საინტერესო, რომ ბეერშეველთა ორივე გოლი ქართველმა ფორვარდმა კოკა მიკუჩაძემ გაახერხა — წინა სეზონის საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონის“ ყოფილმა ლიდერმა მე-3 წუთზე ანგარიში გახსნა, 15 წუთში კი თანაგუნდელს გაატანინა.

მიკუჩაძის „ჰაპოელი“ მეორე ლიგაში მესამე ადგილზეა, მეორეადგილოსანს სამი ქულით ჩამორჩება, პირველში კი ორი გუნდი გადადის. „ჰაპოელს“ ჩემპიონატში 19 გოლი აქვს გატანილი და აქედან შვიდი კოკაზე მოდის. როგორც თავად მიკუჩაძემ გვითხრა, ამ სეზონს ბეერშევაში დაასრულებს და თუ გუნდი პირველ ლიგაში გადავა, დარჩება, თუ არა და, სხვა გუნდს მოძებნის.

რაც შეეხება „მეტალისტს“, მისი ოდინდელი კაპიტანი ლაშა ჯაკობია ახლა მკურნალობს და დაახლოებით 10 თებერვლისთვის შეუერთდება გუნდს; შესაძლოა, ჯაკობიამ „მეტალისტში“ არც გააგრძელოს კარიერა, მაგრამ კონტრაქტი ამ კლუბს ეკუთვნის და...

**ილია ნანობაშვილი**




# ცოტა დინამო ზარიაში

**უკრაინის** უმაღლესლიგელ ლუგანსკის „ზარიაში“ ახალი ქართველია: ექსდინამოელ თავდამსხმელ მიხეილ ბობოხიძის კვალად ამ გუნდს ასევე თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა, ფორვარდმა ლევან მელქაძემ ჩააკითხა, ვინც ბოლოს უგუნდოდ იყო.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, დარჩება თუ არა ის ლუგანსკში, თუმცა უკრაინელი ჟურნალისტების ცნობით, ამის დიდი შანსი აქვთ.

# სამზე რატომ გავჩერდეთ, მუსიე?

## როგორ ნახა ადამიანმა ჯადოქარი



მაიკლ ჰენდერსონი

**მიშელ პლატინი** კვლავ მოვლენათა ცენტრშია, ეს კი ყოველთვის საინტერესოა. საქმეში ჩახედულმა და ჩაუხედავმა ადამიანებმაც უკვე მოასწრეს ეჭვის გამოთქმა — რამდენად ეფექტურად მართავს პლატინი უეფას? მაგრამ ფაქტია, პლატინის ლენარტ იუჰანსონის შემცვლელად არჩევა ფეხბურთისთვის უკან გადადგმული ნაბიჯი არ იქნება. ზუსტად ასევე არ იქნებოდა უკან გადადგმული ნაბიჯი ნებისმიერი ყოფილი მოთამაშის, ნამდვილი, დიდი ვარსკვლავის არჩევა.

აზრთა სხვადასხვაობა პლატინიმ ჩემპიონთა ლიგაზე გამოთქმული მოსაზრებით გამოიწვია. მან ბრძანა, რომ დიდ ქვეყნებს ლიგაში ადგილები სამამდე უნდა შეუმცირდეთ. კი მაგრამ, სამზე რატომ უნდა გავჩერდეთ, მუსიე? არ ჯობია, ყოველმა ქვეყანამ მხოლოდ თავისი ჩემპიონი გამოიყვანოს და დავუბრუნდეთ იმას, რასაც ადრე ჩემპიონთა თასს ვეძახდით? ცხადია, ეს არ მოხდება, რადგან ლიგაში დიდი ფული ტრიალებს, მაგრამ ოცნებას წინ რა უდგას?

ფეხბურთის ყველაზე დიდ პრობლემებზე ფრანგი ნახევარმცველის აზრები, ჩემი აზრებისგან შორს არასდროს ყოფილა. ალბათ, იმიტომ, რომ ის ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა მათ შორის, ვისთვისაც ოდესმე ტრიბუნიდან თვალი მიდევნებია. დიახ, ის უფრო ლამაზად თამაშობდა ვიდრე იოჰან კრუიფი, ზინედინ ზიდანი ან ჯორჯ ბესტი და მართალია, სილამაზე მსოფლიოს ვერ გადაარჩენს, მისი გულისათვის ნამდვილად ღირს სიცოცხლე.

მათ შორის, ვისი თამაშიც კი ოდესმე მინახავს ყველაზე ნატიფი პასები სწორედ პლატინის ჰქონდა. 1983 წლის მარტში, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში „იუვენტუსი“ „ასტონ ვილას“ შეხვდა და იმ დღეს თასის მფლობელი „ვილა“ ფრანგმა ჯადოქარმა მოედნიდან გააქრო, ხოლო ერთი მომენტი, რომელსაც „უიტონ ლეინ ენდის“ კარსუკანა ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალს, ჩემთვის მარად საფეხბურთო მითოლოგიის ნაწილად დარჩება.

იმ ეპიზოდში პლატინიმ ბურთი მარცხენა ინსაიდის პოზიციაზე, „ვილას“ ნახევარზე, ოღონდ ცენტრთან უფრო ახლოს მიიღო (მგონი ანტონიო კაბრინისგან, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ამას მნიშვნელობა არც აქვს) და მყისიერად რაც გააკეთა, მარჯვენა ფეხის გარე მხრით პასის გადაწოდება იყო. პლატინის ფეხთან შეხების შემდეგ ბურთი დაბზრიალდა, გაფრინდა, „ვილას“ მცველები აქეთ-იქით ისე გადაყარ-გადმოყარა, გეგონებათ მათ შუაში ხელყუმბარა ჩაეგდოთ და ზბიგნევ ბონეკს იქ მიუვიდა, სადაც მას მხოლოდ ოცნებაში თუ წარმოიდგენდა. პოლონელს ნაბიჯის არევაც არ დასჭირვებია ისე, სიამოვნების გრძნობით შეაგდო ის ნაიჯელ სპინკის კარში. იმ დღეს ეს „იუვეს“ მეორე გოლი გახლდათ.

ეს გოლი მას მერე მხოლოდ ერთხელ ვნახე ტელევიზიით და მართალი გითხრათ, კიდევ ნახვა აღარ მინდა. სხვათაშორის, ამ გრძნობაში მარტო არ ვარ. შარშან გამოსულ მშვენიერ წიგნში „სრულყოფილი ათიანი“, რომელიც საფეხბურთო მეოცნებეებს, სქემის ოსტატებს, პლეიმეიკერებს და პლეიბოებს ეხება, რიჩარდ უილიამსი ზინედინ ზიდანის მიერ 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში ლევერკუზენის „ბაიერის“ კარში გატანილ საუცხოო გოლზე წერს, რომ ცდილობს მისი ნახვით მიღებული შთაბეჭდილება არ წაშალოს და ამიტომ ტელეგამეორებების ნახვას ერიდება.

მართალია, რიჩარდ. ეს იგივეა მალერის მეცხრე სიმფონიის ბოლო ნაწილში ვინმემ დირიჟორს რომ გააწყვეტინოს და უთხრას: „გეთაყვა, მუსიკოსებს გაამეორებინეთ ბოლო ფრაზა, ერთხელაც რომ მოვისმინოთ“.

იქნებ, იმ საღამოს პლატინის მიერ შესრულებული პასის რამდენიმე დეტალს სწორად ვერც [illegible]ბი, მარგამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, რაც ზემოთ მოვყევი სიმართლეა და მორჩა. და სიმართლე ის არის, რომ პლატინი იყო ფეხბურთელი, რომელიც თავისი თამაშით ადამიანს იშვიათ სიამოვნებას ანიჭებდა. წარმოიდგინეთ ნახევარმცველი, რომელმაც 72 სანაკრებო შეხვედრაში 41 გოლი გაიტანა, მათაგან ცხრა, 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, როდესაც ჩემპიონი გახდა. ამ ციფრებით ხარისხი კარგადაა აღწერილი, მაგრამ სპორტი სხვა რამ არის. სპორტი ის მომენტია, რომელსაც გამეორება არ სჭირდება, რადგან გულს უკვე მოხვდა. ასეთი იყო პლატინის პასი. ასეთია ფედერერის ფორჰენდი.

დიდი ინგლისელი პოეტი ფილიპ ლარკინი (1922-1985) თავის ერთ თხზულებაში ამბობს, რომ ჩვენ ხანგრძლივი და გულწრფელი ლოდინისთვის ვართ გაჩენილი. მართლაც, ცხოვრებაში არსებობს საუცხოო მომენტები, მაგრამ ისინი საუცხოოა და ამიტომ იშვიათი. სიდიადე კი უიშვიათესი ნიჭია. ამ ნიჭით პლატინი იყო დაჯილდოვებული და ასეთი კაცი ცუდს ნამდვილად ვერაფერს გააკეთებს.

**მაიკლ ჰენდერსონი**

*„გარდიანი“*

# მადლობა ყველას, ერთის გარდა



რონალდო უკვე მილანელია. დიდი ფეხბურთელი კვლავ დაუბრუნდა იტალიას, ოღონდ ახლა „ნეროაძურის“ მუნდირის მაგივრად მისი ძველი „ინტერნაციონალეს“ საძულველ „მილანის“ ფერებში უწევს გამონკეპვა. აპენინურმა გრანდმა მადრიდის „რეალს“ 7,5 მილიონი ევრო გადაუხადა და რონალდოს თითქმის ხუთწლიანი კასტილიური ეპოპეაც ამით დასრულდა. ესამილანოდ გამზადებულ ბრაზილიელს „ასის“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ

— მაშ ასე, უკვე „მილანის“ ფეხბურთელი ხართ. მას შემდეგ რაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ოთხ წელზე მეტი გაატარეთ, უცხოურ კლუბთა შორის არჩევანი მაინც იტალიურზე შეაჩერეთ...

— დიახ, „მილანთან“ კონტრაქტს ხელი ახლახან მოვაწერე. მე იტალიაში მადრიდიდან მივიდვარ და მინდა ყველა გულშემატკივარს, ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ჩემს გვერდით იდგა დიდი მადლობა ვუთხრა. ასევე მადლობის თქმა მსურს ჩემი თანაგუნდელებისთვის და ყველა მადრიდელი მწვრთნელისთვის — ერთის გამოკლებით.

**— „რეალთან“ ამგვარად დამშვიდობება თქვენთვის სევდისმომგვრელი უნდა იყოს. რონალდომ ხომ, თითქოს, საამსეზონოდ მადრიდელთა ჭირვეულ ინჩადასთან ბოლოს და ბოლოს საერთო ენა გამონახა...**

— სიმართლე რომ გითხრათ, მართლაც ძალიან სევდიანი ვარ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ოთხწელიწადნახევარი ბედნიერი ვიყავი. თუმცა, ახლა ახალი გამოწვევა მივიღე, წარმატების მისაღწევად უკვე „მილანში“ უნდა ვიბრძოლო. ჩემი გული ორადაა გახლეჩილი, თუმცა რას იზამ, ცხოვრება ასეთია.

**— არ სწუხართ, გუნდი საუკეთესო დროს რომ დატოვეთ? „რეალიდან“ თქვენს წასვლას ვერავინ იფიქრებდა და მითუმეტეს, ასეთი ფორმით გადაბარგებას ვერ წარმოიდგენდნენ....**

— ვწუხვარ, აქ მართლა სახლში ვიყავი, უკვე გითხარით, რომ ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში „ბერნაბეუზე“ ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ამბობენ, რომ მწვრთნელს პრობლემებს ვუქმნიდი, რაც სიმართლეს არ შეეფერება. არანაირი პრობლემა კაპელოსთვის არ შემიქმნია. თუმცა, ერთი რამ კი ცხადია, ფაბიო კაპელოს თვალში არ მოვდიოდი. მე კი პროფესიონალი ვარ, ფეხბურთის თამაში მინდა და იძულებული ვიყავი ამ სიტუაციიდან სხვა გამოსავალი მომეძებნა. ბოლო სამი თვის განმავლობაში მედიასთან პირი არ გამიღია, არანაირ კონტაქტზე არ გავსულვარ. ჩემი სიჩუმით ვიღაც-ვიღაცეებმა ისარგებლეს და ისეთი გამონათქვამები მომაწერეს, რაც გონებაშიც არ მომივიდოდა. მაგალითად, არასდროს მითქვამს, რომ კაპელო ეშმაკია, ხოლო „რეალი“ ჯოჯოხეთი-მეთქი (ეს სიტყვები პირველად „ლა სტამპამ“ გამოაქვეყნა, რაც სხვადასხვა მედიის საშუალებებმა რამდენჯერმე გაიმეორეს). ასე რომ, ცუდი არაფერი მითქვამს. მინდა „რეალის“ ინჩადას მხარდამჭერისთვის მადლობა ვუთხრა.

**— რაც მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი იყავით, ყველაზე უფრო მოწყენილი ახლა ჩანხართ.**

— იმიტომ, რომ ეს ჩემი უკანასკნელი დღეა მადრიდის „რეალში“. თუმცა, უკვე ხვალიდან სხვა საზრუნავი მექნება, სხვა გუნდის ფეხბურთელი ვიქნები.

**— ვინ უფრო მადრიდელია, რონალდო თუ კაპელო? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ გინდა არ გინდა, თქვენი „რეალიდან“ წასვლა სამეფო გუნდში იტალიელის მწვრთნელად მოსვლას უკავშირდება...**

— მე ვიცი, რომ ჭეშმარიტი მადრიდელი ვარ და „რეალიდან“ წასვლამ გული ძალიან მატკინა. აი, კაპელოს შესახებ კი ვერაფერს გეტყვით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიპის კანავარო ზლატანია



**იტალიის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თქვა, „ინტერის“ ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ევროპის მომავალი საუკეთესო ფეხბურთელიაო. ლიპის ვარაუდით, „ფრანს ფუტბოლის“ 2006 წლის ლაურეატს, ფაბიო კანავაროს სწორედ იბრაჰიმოვიჩი შეცვლის.

მოგეხსენებათ, იბრაჰიმოვიჩი „იუვენტუსიდან“ „ინტერში“ გასულ ზაფხულს გადავიდა და სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ფრიად შთაბეჭდილებასაც ახდენს — ათი გოლი უკვე გაიტანა.

„იბრაჰიმოვიჩი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელია — უთხრა ლიპიმ „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტს — თუ მისი გუნდი ამ სეზონში რაიმე ტიტულს მოიპოვებს, მაშინ თავად ის 2007 წლის „ოქროს ბურთის“ უპირველესი კანდიდატი გახდება. ის მარკო ვან ბასტენი არ არის, მაგრამ ფიზიკური თვალსაზრისით მისი მსგავსია და საინტერესოა, რომ ორივე „აიაქსის“ სკოლიდან მოდიან“.

სუპერ-შვედმა, რომელმაც „იუვენტუსში გადასვლის წელიწადს, უფრო სწორად კი 2004-05 წლების სეზონში 16 გოლი გაიტანა, „ინტერის“ მწვრთნელის რობერტო მანჩინისა და მეპატრონის მასიმო მორატის ქებაც დაიმსახურა.

„იბრაჰიმოვიჩი ძალიან კარგად თამაშობს. ის მეტად სერიოზული პროფესიონალია და ხშირად მოედანზე უჩვეულო რამეებს აკეთებს“

**ბაჩუნა ძიძია**



ბექჰემიანთ ცვილის ფიგურები მადამ ტიუსოს მუზეუმში

# ფიფამ მასკერანოს ბორკილები ახსნა



**„ვესტ ჰემის“** არგენტინელ მცველ ხავიერ მასკერანოს ფიფამ „ლივერპულში“ გადასვლის უფლება მისცა. ფიფას წესების თანახმად, ფეხბურთელს ერთ „საფეხბურთო წელიწადში“ (1 ივლისიდან 1 ივნისამდე) ორ გუნდში თამაშის უფლება არ აქვს, მასკერანომ კი უკვე ითამაშა „კორინთიანსში“ და შემდეგ „ვესტ ჰემში“ გადავიდა, სადაც მხოლოდ ორჯერ დააყენეს ძირითად შემადგენლობაში. ფიფამ განმარტა, თუ რატომ დაუშვა გამონაკლისი მასკერანოსთვის. ეს იმიტომ მოხდა, რომ სამხრეთ ამერიკის, ამ შემთხვევაში ბრაზილიის, და ევროპული ლიგების ჩემპიონატები ერთმანეთს ემთხვევა. ამგვარად, ხავიერ მასკერანოს შეუძლია, მომავალ ტურშივე ითამაშოს „ლივერპულის“ მაისურით.

არგენტინელმა მცველმა მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე ყველა მატჩი თავიდან ბოლომდე ითამაშა, შემდეგ კი კარლოს ტევესთან ერთად გადავიდა „ვესტ ჰემში“, სადაც ვერაფრით ვერ შეეწყო გუნდს. ბოლოს იგი 3 დეკემბერს შეცვლაზე გამოჩნდა, როცა „ევერტოთან“ 0:2 წააგეს.

ხავიერ მასკერანოს „ლივერპულთან“ გუშინ 18-თვიანი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა, რაფაელ ბენიტესმა კი თქვა, იგი ჩვენს დაცვას კიდევ უფრო გააძლიერებსო.

**ირაკლი ნინიძე**

# ტიგანასმაგვარი ლიონში



**საფრანგეთის** ჩემპიონმა „ლიონმა“ ნახევარდაცვას ახალი კაცი შემატა — „კრუზეიროდან“ ფაბიო სანტოსი იყიდა და ოთხი მილიონ 200 ათასი ევრო გადაიხადა. 26 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა სამწელიწად-ნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა გუნდთან, რომელსაც უკვე ჰყავს სამი ბრაზილიელი: ჟუნინიო, ფრედი და კრისი. ლიონელებმა სანტოსი მას შემდეგ „მოიკითხეს“, რაც „რეინჯერსიდან“ ჟერემი კლემენტის გადაბირება ვერ მოახერხეს. კლემენტმა პსჟ-ში გადასვლა არჩია. „ლიონისთვის“ სანტოსი მეორე შენაძენია იანვარში. მათ უკვე დაიმატეს მეგოლე ჩეხი მილან ბაროში „ასტონ ვილადან“ და ბირმინგემელებს სანაცვლოდ ნორვეგიელი ფორვარდი იონ კარეუ გაუგზავნეს.

ფაბიო სანტოსი 2004 წელს უკვე იყო ევროპაში — ექვსი თვე გაატარა პორტუგალიურ „ნასიონალში“, მაგრამ გუდს ვერ მოერგო. „შანსი ხელმეორედ გამომიჩნდა და ორდღიანი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ევროპული გამოწვევა ხელახლა მიმეღო, რადგან საამისოდ იდეალური მომენტია. ამჯერად ჩემპიონ გუნდში გადავედი, რმელიც ყოველთვის პირველობისთვის იბრძვის და თან აქ ბრაზილიელებიც არიან. ისინი დამეხმარებიან შეგუებაში“ — თქვა ბრაზილიელმა.

„ლიონის“ სპორტულმა დირექტორმა ბერნარ ლაკომბმა აქო და ადიდა სანტოსი: როცა პირველად ვნახე მისი თამაში, ჯერ კიდევ „სან კაეტანოში“, ჟან ტიგანას მივამსგავსე, ოღონდ მასზე უფრო ღონიერია“.

**ირაკლი ნინიძე**

# მეც მინდა, მეც მინდა!

**ათასზე** მეტმა პროფესიონალმა და მოყვარულმა ფეხბურთელმა გამოთქვა „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ თამაშის სურვილი. ყველაფერი ამერიკაში დევიდ ბექჰემის გადაბარგებამ გამოიწვია. სახელგანთქმული „ბექზი“ „გალაქსიში“ ბურთაობას 2007 წლის ზაფხულიდან დაიწყებს და ცას და ქვეყანას მის გვერდით თამაში უნდა. მსურველთა რიცხვი იმხელაა, რომ კალიფორნიულმა კლუბმა გასინჯვა-ჩაწერის პროცესი დააჩქარა, „ლოს ანჯელე გალაქსიში“ მოხვედრის კანდიდატებს 10-11 თებერვალს გასინჯავენ.

მას შემდეგ, რაც ექსმადრიდელმა დევიდმა ამერიკულ გუნდთან კონტრაქტი გააფორმა, ახალი კონტინენტი ემიგრანტების ახალმა ტალღამ წალეკა. ყველას „გალაქსიში“ ბურთაობა უნდა, იქ მოხვედრის სურვილი ინგლისელებმა, ირლანდიელებმა, შოტლანდიელებმა, ჰოლანდიელემა, გერმანელებმა, ნიგერიელებმა, ლათინოამერიკელებმა და, რა თქმა უნდა, იაპონელებმა გამოთქვეს (ამომავალი მზის ქვეყანაში გალაქტიკური ბექზი განსაკუთრებით უყვართ). კანდიდატთა სია ძალიან დიდია, ამიტომაც კალიფორნიელებმა ლიმიტი შემოიღეს და გასანჯვისთვის საჭირო ღია ვარჯიშებს მარტო 600 ან 700 კაცი დაესწრება.

თითოეულმა სავარაუდო გალაქსელმა მოედანზე გამოჯირითების საფასურად 130 დოლარი უნდა გადაიხადოს. ამ საფასურში „ლოს ანჯელეს გალაქსის“ მაისურაც შედის. ასევე თავად უნდა დაფარონ გასინჯვის პერიოდში კალიფორნიულ ქალაქში ყოფნის ხარჯებიც.

„კლუბში ჩარიცხვის სურვილით უამრავმა ხალხმა მოგვმართა. ველოდი, რომ დაინტერესება დიდი იქნებოდა, მაგრამ ეს უკვე გამაოგნებელია“ — განაცხადა „ლოს ანჯელეს გალაქსის“ პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა ალექსის ლალასმა.

დევიდ ბექჰემი ამერიკულ გუნდში ხუთსეზონიანი ბურთაობის სანაცვლოდ 250 მილიონ დოლარს მიიღებს. ეტყობა, ინგლისელს მტკიცედ გადაუწყვეტია, ამერიკაში ფეხბურთი სპორტის ნომერ პირველ სახეობად აქციოს — „გალაქსისთან“ კონტრაქტის გაფორმებისთანავე ჟურნალისტებს უთხრა, ამერიკაში ფეხბურთი არნახულად უნდა გამოვაცოცხლოო. თუ იმ ტალღას გავითვალისწინებთ, ლოს ანჯელესს რომ მიაწყდა, ფეხბურთის გამოცოცხლების პროცესი ნამდვილად დაწყებულია.

ისე, აშშ-ში 18 მილიონი ფეხბურთელი ირიცხება, რომელთაგან ოდენ 2600-ია პროფესიონალი და ამ ხალხიდანაც მეიჯორ სოკერ ლიგაში ამერიკელთა უმაღლეს დივიზიონში მარტო 320 მოთამაშე ბურთაობს. დანარჩენები — პირველ დივიზიონში **US2**-ში ან **USL SECOND**-ში, ანუ მეორე დივიზიონში. ამ ორივეს იუნაიტედ სოკერ ლიგა აკონტროლებს.

**ლადო ხომერიკი**




## ლიბერტადორესის თასი 2007

**შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები**

ველეს სარსფილდი — დანუბიო 3:0; დეპორტივო ტაჩირა — დეპორტეს ტოლიმა 1:2

# ტანკი, რომელიც გიტარაზე უკრავს

ბრაზილია მართლაც მსოფლიოს უდიდესი ექსპორტიორია. ფაქტები გნებავთ? 2005 წელს სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყნიდან ათასზე მეტი ფეხბურთელი გამგზავრა საზღვარგარეთ და სამუშაოზე მოეწყო. ხუმრობაა წელიწადში ათასი კაცი?

მერედა დახედეთ: თითქმის ყველა ესპანური კლუბის საკვანძო ფიგურა ბრაზილიელია, დაახლოებით იგივე სურათია იტალიაში, ბოლო დროს იმავეს ვაწყდებით რუსეთში და მალტა რომ მალტაა, იქაც ჰყავთ თავიანთი ზომისა და წონის ბრაზილიელები.

და რა ხდება ამ მხრივ ინგლისში? ინგლისელი სტატისტიკოსები გვამცნობენ, რომ სულ ახლახან მათ ქვეყანაში მხოლოდ და მხოლოდ მეოცე ბრაზილიელი ჩავიდა და გვახსენებენ, რომ მათთან ჩასული ბრაზილიელები ხშირად არაფრად ვარგიან.

რატომ?

ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხი არსებობს. ერთი, მაგალითად ის არის, რომ ბრაზილიელებს, რომელთაც არჩევის საშუალება ეძლევათ, ინგლისს უფრო მშობლიურთან მონათესავე გარემო ურჩევნიათ. მეორე მხრივ, პრობლემებს აწყდებიან თავად ინგლისური კლუბები. მაგალითად, „არსენალმა“ ხუთი ბრაზილიელი იყიდა და ამ ხუთიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა ყველა საბუთი ბრიტანულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ეს ერთადერთი მოწესრიგებული ჟილბერტო სილვა გახლდათ.

რაც შეეხება 25 წლის ჟულიო კლემენტ ბაპტისტას, იგი ინგლისში აგვისტოში ჩავიდა. არსენალელთა მწვრთნელს არსენ ვენგერს ამ დროისთვის მასზე თვალი უკვე მთელი წლის დადგმული ჰქონდა, თავად ფეხბურთელს კი „სევილიაში“ მეტსახელად „ლა ბესტია“ ანუ მხეცი ჰქონდა დამსახურებული.

ვენგერს ბაპტისტას შეძენა ჯერ კიდევ 2005 წელს ჰქონდა დასახული ნომერ პირველ ამოცანად, მაგრამ დაიცადა, რადგან ბრაზილიელი ესპანეთში კიდევ ერთი წლით უნდა დარჩენილიყო, რათა ნებისმიერი სამხრეთ ამერიკელის საოცნებო საგანი, ევროპასპორტი მიეღო. თან, რასაკვირველია, დამატებითი დაკვირვება არ აწყენდა.

ლონდონში ჩასვლის შემდეგ კი აუცილებელი გამოდგა ფიზიკურ მომზადებასა და პირად ადაპტაციაზე დახარჯული ნახევარი წელიწადი. დაყოვნებაა? რა საკვირველია, მაგრამ როგორც გაირკვა, ჩიტი ბრდღვნად ღირდა — „კარლინგის“ თასზე ნათამაშებ პირველ ორ შეხვედრაში, „ლივერპულთან“ და „ტოტენჰემთან“, ბაპტისტამ ექვსი გოლი შეაგდო, ერთი თავის კარში დაუმიზნა და ერთხელაც პენალტი ააცილა. მეტი რაღა მხეცობა გინდათ?

„ენფილდზე“ გატანილ ოთხ გოლზე „გარდიანთან“ საუბრისას ბაპტისტას თვალები ენთება.

„დიდებული იყო. თამაში ისე მქონდა მოწყურებული, რომ ლამის აფეთქებულიყავი. და კიდევ, ხალხი ვერ ხედავს რამდენს ვმუშაობთ საწვრთნელ მოედნებზე, ისინი მხოლოდ იმას ხედავენ, რაც თამაშების დროს ხდება, ეს კი უდიდესი შრომის შედეგია“ — ამბობს ბრაზილიელი, რომელიც გარდა იმისა, რომ ტალანტად არის შობილი, მეტად საამო ფეხბურთსაც თამაშობს.

| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 524 | ინგოლშტადი-ნიურნბერგი | 1.85 | 4.30 | 2.70 | 1.29 | 1.09 | 1.65 |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 525 | დიუსელდორფი-დუისბურგი | 1.20 | 5.50 | 7.00 | 1.00 | 1.02 | 3.07 |
| 22:30 | 526 | ჰანოვერი-კიოლნი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 22:30 | 527 | აისბარენი-ჰამბურგი | 2.05 | 4.30 | 2.35 | 1.38 | 1.09 | 1.51 |
| 22:30 | 528 | ფრანკფურტი-სტრაუბინგი | 1.42 | 4.60 | 4.60 | 1.08 | 1.08 | 2.29 |
| 22:30 | 529 | კრეფელდი-აუგსბურგი | 1.50 | 4.30 | 4.20 | 1.11 | 1.10 | 2.12 |
| 22:30 | 530 | იზერლონი-მანჰაიმი | 2.60 | 4.30 | 1.90 | 1.62 | 1.09 | 1.31 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 22:45 | 533 | სერვეტი-ბაზელი | 1.45 | 4.50 | 4.60 | 1.09 | 1.10 | 2.27 |
| 22:45 | 534 | ცუგი-ბერნი | 2.10 | 4.30 | 2.30 | 1.41 | 1.09 | 1.49 |
| 22:45 | 535 | ფრიბურგი-რაპერსვილი | 2.20 | 4.20 | 2.15 | 1.44 | 1.08 | 1.42 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 673 | ეფესი-დინამო | 1.60 | 12.00 | 2.10 | 1.41 | 1.00 | 1.78 |
| 23:15 | 674 | მაკაბი-პანათინაიკოსი | 1.65 | 12.00 | 2.10 | 1.45 | 1.00 | 1.78 |
| 23:15 | 675 | ოლიმპიაკოსი-ენერგია | 1.03 | 12.00 | 7.50 | 1.00 | 1.00 | 4.61 |
| 23:15 | 676 | პარტიზანი-უნიკახა | 1.50 | 12.00 | 2.30 | 1.33 | 1.00 | 1.93 |
| 23:15 | 677 | ტაუ-ლე მანი | 1.08 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 23:15 | 678 | ხუვენტუდი-ოლიმპია | 1.12 | 12.00 | 5.00 | 1.02 | 1.00 | 3.52 |
| 23:15 | 679 | რომა-ციბონა | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 23:15 | 680 | პროკომი-ბოლონია | 1.50 | 12.00 | 2.25 | 1.33 | 1.00 | 1.89 |

# სიენამ საბერძნეთში მეოთხედფინალი ნახა

## ულების თასი 2006-07
მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

გრან კანარია 84:88 FMP
ჰაპოელი 88:73 ვენტსპილსი
სტრასბური 89:86 ნანსი
სნაიდერო 75:72 ლიეტუვოს რიტასი
ცრვენა ზვეზდა 89:77 ხიმკი
ჰემოფარმი 73:90 უნიკსი
პაოკ 62:79 სიენა
სიენა: ბოისა (12 წუთი, 5 ქულა, 3 მოხსნა)


ვლადიმერ ბოისას „სიენამ" მეოთხედფინალისკენ გაიკაფა გზა

**ვლადიმერ ბოისას** „სიენამ" ულებ-ის თასის მეოთხედფინალში ადგილი თითქმის დაიბევა. სიენელებმა სამშაბათს საბერძნეთში პაოკ-ს საპლეიოფო ორთაბრძოლის პირველი მატჩი 17 ქულით მოუგეს და ელინელებთან საპასუხო მატჩს გულდამშვიდებულები ხვდებიან.

სიენელები თავიდანვე ამ ტურნირის ფავორიტებად მიიჩნეოდნენ და ბოისას გუნდმა სპეციალსტთა ვარაუდი ჯგუფურ ეტაპზევე გაამართლა. „მონტეპასკიმ" თავის ჯგუფში პირველობა ვადაზე ადრე მოიპოვა და პირველივე საპლეიოფო ჯახში საიმედო ფორა დაიბევა.

მეთექვსმეტედფინალში „სიენას" პაოკ-ი ერგო და პირველივე მატჩში ცხადყო, რომ ბერძნებს იმედი აღარ უნდა ჰქონოდეთ. ძნელად სავარაუდოა, რომ იტალიურმა კლუბმა ელადაში გამარჯვების შემდეგ შინ ამხელა უპირატესობა გაანიავოს.

ბოლო ხანებში უქულობას ნაჩვევმა ბოისამ ბერძნებთან ერთგვარად ხელი გამოიღო და 12-წუთიანი ბურთაობა 5 ქულით დაასრულა. ვოვამ სამი ცდიდან ერთი სამიანი ჩააგდო და საშუალო დისტანციიდანაც ამავე წარმატებით ისროდა.

„ვფიქრობ, ჩემმა გუნდმა სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშა — თქვა ნამატჩევს სიენელთა თავკაცმა სიმონე პიანიჯანიმ — სტუმრად თამაში, მით უფრო საბერძნეთში, ძალიან ძნელია და ამხელა უპირატესობით რომ გავიმარჯვეთ, ეს ჩვენს მობილიზებაზე მიუთითებს".

სიენელები ორი კვირის შემდეგ უმასპინძლებენ ბერძნებს და ძნელად დასაჯერებელია, მეოთხედფინალის საგზური ვერ მოიპოვონ. პაოკ-ი იმ გუნდს არ ჰგავს, შინ პირწმინდა დამარცხების შემდეგ იტალიაში 19 ქულაზე მეტით რომ იმარჯვოს.

**ირაკლი პერტაია**

# ვატოს ბომბარდირობამ დიჟონს ვერ უშველა

**სამშაბათს** ევროთასის მეორე ჯგუფურ ეტაპზე მორიგი ტური გაიმართა და ქართველების გუნდებს დასაკვეხნი არაფერი გაუკეთებიათ. ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესმა" კვიპროსში აელ-თან წააგო, ხოლო ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონი" შინ ბოლონიურ „ვირტუსთან" დამარცხდა.

მიუხედავად გუნდური წარუმატებლობისა, ნაცვლიშვილისთვის ბოლონიელებთან მატჩი საუკეთესო იყო ამ სეზონში. ვატომ 34-წუთიანი ბურთაობა 19 ქულითა და 7 მოხსნით დაასრულა და თანაგუნდელ ენტონი მბიაესთან ერთად მატჩის ბომბარდირი გახდა.



ნაცვლიშვილმა 14 საშუალო მანძილიდან სროლიდან 7 ჩააგდო და ამას 5 საჯარიმოც მიაყოლა. ის დიჟონელთაგან სამაგალითო იყო ფარქვეშაც, 7 მოხსნა მიითვალა, მაგრამ ფრანგული კლუბის წარმატება ეს არ იყო.

„ვირტუსმა" საპირველტაიმო ტოლ-სწორი ბრძოლის შემდეგ მეორე ნახევარში გაილაღა და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 8 ქულით დაწინაურდა. ბოლო ათწუთეულში იტალიელებმა კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა და საბოლოოდ 94:78 იმარჯვეს. ამ წაგებამ „დიჟონს" ჯგუფიდან გასვლის შანსები მინიმუმამდე შეუმცირა — ვატოს გუნდს 4 თამაშიდან ერთი გამარჯვება აქვს და ბოლო ადგილზეა.

ჯგუფიდან გასვლის რეალურ კანდიდატობას ინარჩუნებს ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესი". მართალია, ესპანურმა კლუბმა კვიპროსში აელ-თან წააგო, მაგრამ მანამდე სამი გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო თვალსაზრისით დიდად არ უჭირს.

სანიკიძემ ოდენ 7 წუთი ითამაშა და ერთადერთი მოხსნა გაახერხა. მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა და ყველაფერი დამატებით დროში გაირკვა. დაცვით თამაშში აელ-მა იმარჯვა და საბოლოოდ კინკილა ქულით, 63:62 მოიგო.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი


ჯილბერტ არენასი

# ვაშინგტონის ახალი ტონი

30 იანვარი

**ვაშინგტონი 104:99 დეტროიტი**
ვაშინგტონი: არენასი (36 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), სტივენსონი (15), ბატლერი (13)
დეტროიტი: ბილაფსი (25), პრინსი (19), ვოლესი (15), ჰამილტონი (15)

**დალასი 122:102 სიეტლი**
დალასი: კროშერი (34), ტერი (19), ბაკნერი (17), ჰარისი (16), ნოვიცკი (15)
სიეტლი: ალენი (35), უოტსონი (15), კოლისონი (15)

**ინდიანა 103:96 ბოსტონი**
ინდიანა: ტინსლი (28), ონილი (25)
ბოსტონი: ჯეფერსონი (15 ქულა, 17 მოხსნა), გრინი (14)

**კლივლენდი 124:97 გ. სტეიტი**
კლივლენდი: პავლოვიჩი (24), მარშალი (15), ილგაუსკასი (14 ქულა, 10 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: დევისი (21), ჰარინგტონი (13)

**მაიამი 110:80 მილუოკი**
მაიამი: ვეიდი (28), კაპონო (15)
მილუოკი: გილანუევა (17), უილიამსი (15)

**ნიუ იორკი 29:94 ლეიკერსი**
ნიუ იორკი: კარი (27), მარბერი (22), კროუფორდი (17)
ლეიკერსი: ოდომი (25), რადმანოვიჩი (18), პარკერი (14)

დედაქალაქური გუნდი კია, მაგრამ „ვაშინგტონ ვიზარდსი" პროვინციელის შეუპოვრობითა და მიზანდასახულობით ცდილობს ნბა-ს ელიტაში ადგილის დამკვიდრებას. ეს გუნდი უკვე გაუშინაურდა პლეი ოფს და ეს ორი წელია, იქაც თავს არ ირცხვენს. ჩანს, დედაქალაქელებმა საკუთარი ძალა შეიგრძნეს, მსუყე გამარჯვებებით არცთუ განებივრებულებს კუჭმაც უბიძგა და დიდრონ ნადავლზეც დაგეშა.

თამაშების 60 პროცენტის მოგებით ჯერ ვერ იამაყებ, მაგრამ კონფერენციის ლიდერობა უკვე საამაყოა და „ვაშინგტონმა" ამ მიზანსაც მიაღწია. თანაც რამდენიმედღიანი ინტერვალით ორჯერ, შინ და გარეთ დაამარცხა თავად „დეტროიტი" და ბოლო წლების უძლიერესი აღმოსავლელის გავლით დაიკავა კონფერენციის ტახტი.

ამ სამშაბათს ვაშინგტონელები „დეტროიტთან" შინაურ ჯახში მხოლოდ მოსაგებად გავიდნენ და თამაშის დასაწყისშივე ერთ-ერთი ლიდერის გამოკლებამაც ვერ შეურყია სულისკვეთება. „ვიზარდსს" უკვე მე-5 წეთზე დაემტვრა 206-სანტიმეტრიანი და მატჩში საშუალოდ 19-ზე მეტი ქული მშოვნელი ანთუნ ჯემისონი, რომელმაც 5 დღის წინ დეტროიტში გამართულ შეხვედრაში გუნდს 35 ქულა მიაშველა და ახლა თანაგუნდელები ახლა სულ ცოტა, 20-25-ს ელოდნენ.

ჯემისონის დაშავების მიუხედავადც, „ვაშინგტონმა" პირველი მეოთხედი 30:18 მოუგო „დეტროიტს", რომელსაც წელს მოტივაციის უქონლობა დასტყობია და დიდად ვერც ახალი სისხლის გადასხმა შველის — გუნდის ბებერი ახალწვეული კრის ვებერი სტაბილურობით ვერ აოცებს ისედაც არასტაბილურ თანაგუნდელებს. დეტროიტელები პირველი მეოთხედის ჩავლავებისა და მეორეშიც 19 ქულით ჩამორჩენის შემდეგ გამოფხიზლდნენ და წინა წლებში ასე საშიში, სადღეისოდ კი ცოტა მოძველებული „დეტროიტული მანქანა" ჩართეს და სხვაობის შემცირება იწყეს, მაგრამ დრო აღარ ეყოთ.

ამ გამარჯვებით „ვაშინგტონმა" აღმოსავლეთის ლიდერის ტახტი გაიმყარა და თავის მთავარ მწვრთნელს, ქართული ვარიაცით რომ ვთქვათ, ასე ათქმევინა — მაგ „დეტროიტს" ყურებზე ხახვი ხომ დავაჭერით.

„ვაშინგტონის" დარად მოიგეს აღმოსავლეთის სხვა მოწინავე გუნდებმა — „ინდიანამ" და „კლივლენდმა". პირველმა დაცემულ დიდებას, „ბოსტონ სელტიქსს" ზედიზედ მე-12 მარცხი აგემა. მეორემ კი „გოლდენ სტეიტს" თავისი ლიდერის, ლებრონ ჯეიმსის არყოფნის არყოლის მიუხედავადაც 27-ქულიანი მარცხი შეამთხვია.

აზნაურთა ფეხის ხმას აჰყვა და იმარჯვა 1999 წელს ფინალში გასვლის შემდეგ დაგლახავებულმა „ნიუ იორკმაც", ვინც კობი ბრაიანტის არყოფნით ისარგებლა და მისი „ლეიკერსი" მარცხით გაისტუმრა „მედისონ სკვერ გარდენიდან".

**კოტე ყორშია**

ევროპის ერთა თასი 2007. პირველი ტური

## რუმინეთი — საქართველო

3 თებერვალი. ბუქარესტი. გენჩა. 15.30 საათი

# თებერვალი დადგაო...

## ლელოებმა მუხას წყალი უნდა შეუყენონ



ზამთრის უფოთლო ტყის ფონზე „მუხის ფოთლებმა“ „სალელოე“ მზადება დაიწყეს

**ბუქარესტში** გუშინწინ შეკრებილმა საქართველოს ნაკრებმა გუშინ ორჯერ ივარჯიშა და დღესაც იმავეს გააკეთებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენები წლევანდელი ერთა თასის 3 თებერვლის მატჩისთვის ემზადებიან. ბუქარესტში ქართველი „ლელოები“ რუმინელებს დაუპირისპირდებიან.

ჩვენების ბანაკიდან სიახლე არაფერია. როგორც მთავარ მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა გუშინ გვითხრა, ბუქარესტში შეკრებილი ოცდაორივე მორაგბე ჯანზეა და კარპატელებთან საბრძოლველად მზადაა. ძველი ამბავი კი ისაა, რომ ტრავმებისა და სხვა მიზეზების გამო რუმინელებთან ჩვენებს ვერ დაეხმარებიან ძირითადი შემადგენლობის მორაგბეები: გოდერძი შველიძე, თემურ სოხაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა გორგოძე, გია ლაბაძე და რატი ურუშაძე.

როგორც ჭეიშვილმა გვითხრა, ჩვენი რაგბის კავშირის სპონსორების „ბი-თი-აი სილქროუდ ბანკის“, „სევენ სქაის“ და „საქავიანავიგაციის“ დახმარებით ქართველებს ყველანაირი პირობები აქვთ ნორმალური შეკრებისთვის. ერთი ისაა, რომ ბუქარესტში ორი დღეა თოვს და მოედანი მოყინულია.

## საქართველო რუმინეთთან

1998 წელი. 18 ნოემბერი. დუბლინი. მსოფლიოს თასის შესარჩევი
**საქართველო 23:27 რუმინეთი**
2000 წელი. 2 აპრილი. თბილისი. ერთა თასი
**საქართველო 20:23 რუმინეთი**
2001 წელი. 7 აპრილი. ბუქარესტი. ერთა თასი
**რუმინეთი 20:31 საქართველო**
2002 წელი. 6 აპრილი. თბილისი. ერთა თასი
**საქართველო 23:31 რუმინეთი**
2003 წელი. 30 მარტი. თბილისი. ერთა თასი
**საქართველო 6:19 რუმინეთი**
2004 წელი. 27 მარტი. იაში. ერთა თასი
**რუმინეთი 25:18 საქართველო**
2005 წელი. 12 მარტი. თბილისი. ერთა თასი
**საქართველო 20:13 რუმინეთი**
2006 წელი. 25 თებერვალი. ბუქარესტი. ერთა თასი
**რუმინეთი 35:10 საქართველო**
2006 წელი. 7 ოქტომბერი. ბუქარესტი. მსოფლიოს თასის შესარჩევი
**რუმინეთი 20:8 საქართველო**

სანამ ჩვენი „ლელოები“ 3 თებერვლის მატჩისთვის ემზადებიან, უქმად არც რუმინელები არიან. „მუხის ფოთლებმა“ მზადება დაიწყეს და გაფართოებული, 28-კაციანი რაზმიც შეკრიბეს. გაფართოებული შემადგენლობა ხვალ გაიცხრილება და მასპინძლები იმ 22-კაციან რაზმს გააცხადებენ, ჩვენებს რომ დახვდება. ქართველებთან რა მოსატანია, მაგრამ დანაკლისი რუმინელებსაც აქვთ. „ლელოებს“ ვერ ერაგბებიან კარპატელთა ძირითადი მორკინალები: ვალიერიან მანტა და ივიდიუ ტონიცე. ხოლო ჩვენების სისხლისგამშრობმა პეტრე მიტუმ საბოლოოდ მიატოვა ნაკრები. მიტუმ სანაკრებო კარიერა 2003 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ დაასრულა, მაგრამ ქართველებთან ჯახისთვის საგანგებოდ უბრუნდებოდა „მუხის ფოთლებს“.

რუმინელთა გაფარებული შემადგენლობა კი ასეთია: ***მორკინალები***: პეტრუ ბალანი, ნიკოლა ნერე, ცეზარ პოპესკუ, რაზვან მავროდინი, მარიუს შტინუ, პეტრისორ ტოდერაკში, პულიცა იონი, ბოგდან ბალანი, სორინ სოკოლი, პეტრე კრისტიანი, ვალენტინ ურსაჩე, კორნელ ტატუ, ფლორინ კოროდიანუ, კოსტიცა მერსოიუ, მიხაი მაკოვეი, ბურჩია სტელიან;

***უკანა ხაზი***: ლუსიან სირბუ, ვალენტინ კალაფატიანუ, იონუც ტოფანი, კატალინ ფერჩუ, გაბრიელ ბრეზოიანუ, ჩაბა გალი, რომეო გონტინიაკი, ვლად დანი, კრისტიან სუანი, იულიან დუმიტრასი, დანუც დუმბრავა, ფლორინ ვლაიკუ.



# ცაში გამოკიდებულნი

## ქართული წყალბურთისთვის თვითდაფინანსება დაუფინანსებლობას ნიშნავს



**საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია კვლავ უპრეზიდენტოდაა, დროებით ამ მოვალეობას კი ვეტერანი წყალბურთელი დავით რურუა ასრულებს. ახლა ფედერაცია პრეზიდენტის ძებნაშია, რომელიც თავის თავზე აიღებს საქმის გაძღოლას. ამჟამად ფედერაციაში გაერთიანებულ სპორტის სახეობებს — წყალბურთს, წყალში ხტომას, ცურვასა და სინქრონულ ცურვას ცუდი დროება უდგას. საუბარია იმაზე, რომ სპორტული სკოლები თვითდაფინანსებაზე უნდა გადავიდნენ. ტექნიკური უნივერსიტეტის აუზი, სადაც წყალბურთელები და მოცურაეები ვარჯიშობენ, იმავე საშიშროების წინაშეა. გამოდის, რომ სპორტსმენებს საკუთარი ჯიბიდან მოუწევთ ფულის გაღება იმისთვის, რომ აუზზე ივარჯიშონ, რაც არარეალური ჩანს. ამაზე ნუხს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი *სოსო მაისურაძე*, რომელსაც სხვა საჭირბოროტო საკითხებზეც ვესაუბრეთ**

— ტექნიკური უნივერსიტეტის აუზი ისედაც ვერ აკმაყოფილებდა საერთო სტანდარტებს და ახლა თუ იქ ვარჯიშის საშუალებაც მოგვესპო, უმძიმეს სიტუაციაში აღმოვჩნდებით. წარმოუდგენელია, რომ წყალბურთელებმა თვითონ გადაიხადონ აუზზე ვარჯიშის საფასური. ელემენტარულად ბიჭებს ამას ვერ მოვთხოვთ, ნაკრებში ისედაც უხელფასოდ თამაშობენ. დასანანი იქნება, რომ გუნდის შენარჩუნება ვეღარ შევძლოთ, არადა, უდიდესი პოტენციალის მქონე ბიჭები გვყავს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ზურაბ რურუას და სანდრო რუსიშვილს რუსები საკუთარ ნაკრებში ეპატიჟებიან. ეს უკანასკნელი მხოლოდ 16 წლისაა და მისი დარი ამ ასაკში 2-3 თუ იქნება მთელ მსოფლიოში. მერწმუნეთ, არაფერს ვაჭარბებ, ნამდვილად ასეა.

— გავიგეთ, იმის გამო, რომ თანხა ვერ იშოვეთ, ევრო 2007-ის შესარჩევშიც ვერ მონაწილეობთ...

— სამწუხაროდ ასეა. კენჭისყრაში მონაწილეობაზე საერთაშორისო ფედერაციაში უნდა გაგვეგზავნა თანხმობის ფურცელი, ამის გაკეთება ვერ შევძელით, რადგან თანხა არ გამოიძებნა. შესარჩევ ტურნირს მანჩესტერმა უნდა უმასპინძლოს. იქ წასვლა 55 ათასი ლარი გვიჯდებოდა. ეს თანხა ჩვენთვის დიდი ფუფუნებაა. თანხმობა რომ მიგვეცა და მერე მანჩესტერში ვერ გავმგზავრებულიყავით, სანქცია გველოდა, მინიმუმ 18 ათასი ევრო. ამიტომ დავრჩით ასე.

— 17 თებერვალს უკრაინის ღია პირველობის მეორე ტურია, ფინანსური პობლემები აქაც ხომ არ შეგექმნებათ?

— წლეულს ჩვენთვის გამოყოფილი თანხა იმდენის საშუალებას გვაძლევს, რომ მომდევნო ორ ტურში, 17 თებერვალს და 26 მარტს, უკრაინაში გავემგზავროთ, დარჩენილ ორ ტურში რას ვიზამთ და, საერთოდ, მერე რითი ვიარსებებთ, არ ვიცი.

ამ თანხით აუზში სავარჯიშო ფულის გადახდა რომ დაგვჭირდეს, გამოდის, ვერც ამ ორ ტურზე გავემგზავრებით. მაგრამ ვარჯიში რაღად გვინდა, თუ საერთაშორისო ტურნირებში ვერ მივიღებთ მონაწილეობას? მოკლედ, ცაში ვართ გამოკიდებულები.

ერთიც მინდა ვთქვა, გულნატკენი ვარ, რომ ჩვენი გუნდის ევროპირველობაზე კიდევ ერთხელ მოხვედრა არ დააფასეს და წლის ბოლოს სპორტული მიღწევების შეფასებისას საერთოდ არ ვიხსნებივართ. პირობები გვქონდეს და მეტიც შეგვიძლია. აბსოლუტურად ყველა ლეგიონერი, მათ შორის, რევაზ ჩომახიძეც კი თანახმაა, აქ ჩამოსვლაზე, თუ სათანადო გარემო შეიქმნება, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს არარეალურია. მათი ჩამოსვლის შემთხვევაში კი მართლაც ლიცენზიისთვის მებრძოლი გუნდი გვეყოლებოდა.

*საწყლოსნო სახეობათა ფედერაციაში არსებულ სიტუაციაში უკეთ გასარკვევად ფედერაციის გენერალურ მდივან* ***ირაკლი ბართაიასაც*** *შევეხმიანეთ.*

— თვითდაფინანსებაზე გადასვლა მტკივნეულად აისახება ჩვენს ფედერაციაზე. ელემენტარულად შუქის, გაზისა და სხვა კომუნალური გადასახადების გადახდას ვერ შევძლებთ. გაურკვეველია მომავალი პრეზიდენტის ვინაობაც. თუ ღირსეული კანდიდატი გამოჩნდა, მის ასარჩევად რიგგარეშე ყრილობის დანიშვნა მოგვიწევს. ბუნებრივია, ჯერ თარიღი არ არის დადგენილი.

**ლექსო მაისურაძე**





# ხაბარელმა ჩამოწერა ფრანგულიც და გერმანულიც

## კედელაშვილი და ცირეკიძე პარიზში დაისვენებენ

**თბილისური** მსოფლიოს თასის შემდეგ ევროძიუდოში ორკვირიანი შესვენება გამოცხადდა. უახლოესი საერთაშორისო ტურნირი 10-11 თებერვალს პარიზში გასამართი მსოფლიოს სუპერთასია და საქართველოს ნაკრებიც ამისთვის ემზადება. ქართული ტურნირის მსგავსად, ფრანგულიც ევროპის, ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპად მიიჩნევა და მის შედეგებს მონაწილე გუნდები საევროპო შემადგენლობების დასაბალანსებლად გამოიყენებენ.

შოთა ხაბარელის სანაკრებო ბირთვი გასული მსოფლიოს თასის შედეგებმა გამოკვეთა, საბოლოო შვიდეულის დასახელებამდე კი ნაკრების თავკაცი კანდიდატებს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე დააკვირდება. ერთ-ერთი მთავარი შეჯიბრი სწორედ პარიზის სუპერთასია და დიდი შანსია, შიდა კონკურენციის პირველკაცები საფრანგეთშივე გამოვლინდნენ.

მომავალი ტურნირისთვის ხაბარელმა თერთმეტკაციანი შემადგენლობა გაამზადა, მაგრამ ტატამზე ალბათ მხოლოდ ცხრა გავა. ზაზა კედელაშვილი (66 კგ) და ირაკლი ცირეკიძე (90 კგ), სავარაუდოდ, სუპერთასს გამოტოვებენ.

„ალბათ, კედელაშვილსა და ცირეკიძეს ტურნირს გამოვატოვებინებ — გვითხრა გუშინ ნაკრების თავკაცმა — ამ ათ ევროპის ჩემპიონატი თითქმის განაღდებული აქვთ და დიდი შანსია, მხოლოდ საფრანგეთის ტურნირის შემდეგომ ერთობლივ წვრთნებში მიიღონ მონაწილეობა. მასში ტრადიციულად მსოფლიოს ძიუდოს გრანდები ჩაერთვებიან და შეკრება ერთი კვირა გაგრძელდება."

ხაბარელმა ისიც გვაცნობა, თუ კედელაშვილი ტატამზე გავიყვანეთ, მას ერთი წონით მაღლა — 73 კილოგრამში ვაჭიდავებთო. 66-ში მინდია ხომიზური გამოვა. ცირეკიძის არყოფნაში კი 90 კილოგრამში საქართველოს ღირსებას არავინ დაიცავს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა თბილისის მსოფლიოს თასზე უმედლოდ დარჩენით, ევროშანსი ფაქტობრივად, საბოლოოდ დაკარგა და აქედანვე ევროპის ჩემპიონატის შემდგომ სალიცენზიო ტურნირებზე გადაერთვება.

საფრანგეთის სუპერთასის შემდეგ ქართული გუნდი ორ საერთაშორისო ტურნირზე გამოვა. 24-25 თებერვალს ჰამბურგის მსოფლიოს თასია, 3-4 მარტს კი ტატამი ვარშავაში გაიშლება. გუშინ ხაბარელმა საპოლონეთო შემადგენლობაც გაგვიმხილა. ამ ტურნირზე ევროსაგზურთან შედარებით შორს მდგომი ძიუდოისტები იჭიდავებენ. უმსუბუქეს წონაში არავინ გამოვა, 66-ში საქართველოს ჩემპიონი სერგო ციხელაშვილი და პრიზიორი დავით ფერსაშვილი, 73-ში — გიგა წიკლაური, 81-ში — საბა გავაშელიშვილი და გრიგოლ შინჯიკაშვილი, 90-ში საქართველოს ჩემპიონატზე ზვიადაურის მომგები დავით ლორიაშვილი, 100-ში — ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი ნოდარ მეტრეველი, +100-ში — ლაშა გუჯეჯიანი.

პარიზულ მსოფლიოს სუპერთასამდე საქართველოს ნაკრები მზადებას ვაკის დარბაზში განაგრძობს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| საქართველოს საპარიზო ნაკრები | |
|---|---|
| 60 კგ | დავით ასუმბანი |
| | ნესტორ ხერგიანი |
| 66 კგ | მინდია ხომიზური |
| 73 კგ | ზაზა კედელაშვილი |
| 81 კგ | გრიგოლ მამრიკიშვილი |
| | გიორგი ბაინდურაშვილი |
| 90 კგ | ირაკლი ცირეკიძე |
| 100 კგ | ლევან ჟორჟოლიანი |
| | გიორგი ყიზილაშვილი |
| +100 კგ | ზვიად ხანჯალიაშვილი |
| | ადამ ოქრუაშვილი |



## მსოფლიოს XX ჩემპიონატი

კაცები. გერმანია. 19 იანვარი — 4 თებერვალი

# სხვა ჩემპიონი



AFP

**ოთხივე** მეოთხედფინალური შეხვედრა უმწვავესი ბრძოლით აღინიშნა. ერთ-ერთი მხარის უპირატესობა სამ ბურთს არ ასცილებია, დანია — ისლანდიის უდრამატულეს მატჩში კი სულაც გამარჯვებულის გამოსავლენად ორი დამატებითი ხუთწუთიანი პერიოდის დანიშვნა გახდა საჭირო.

ისლანდიელთა შემადგენლობაში ამჯერად არ ყოფილა ყოფილი ჩვენი თანამემამულე, მეკარე როლანდ ერაძე. მონათესავე მეტოქეებს თავიდან მონაცვლეობით გაჰქონდათ გოლები და ანგარიშიც თანაბრად იზრდებოდა. ტაიმი ისლანდიელებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს — 17:16.

შესვენების შემდეგ დანიელები გააქტიურდნენ და 43-ე წუთზე ოთხი ბურთითაც დაწინაურდნენ — 25:21, მერე — 29:25. ისინი ბოლო წუთამდე ინარჩუნებდნენ უპირატესობას — 34:32, მაგრამ ამ მატჩში ისლანდიელთაგან საუკეთესომ, სნორი გუდიონსონმა მორიგი ორი ზუსტი ტყორცნით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა.

იქაც ბრძოლა ბურთი ბურთში გაგრძელდა, ათ წუთში ანგარიში ექვსჯერ იყო საყაიმო, უკანასკნელად ბოლო, 70-ე წუთზე დანიელი ლარს მიოლერ-მადსენის ზუსტი ტყორცნის შემდეგ — 41:41. ისლანდიელებს შეტევისთვის 40 წამი რჩებოდათ, მაგრამ კარისკენ ერთხელ გასროლაც ვერ მოახერხეს, ნერვებმა უმტყუნათ — მათგან ერთ-ერთმა საუკეთესომ, ოლაფურ სტეფანსონმა, ორწუთიანი გაძევება აიკიდა, ხოლო ალექსანდრ პეტერსონმა ტექნიკური ფოლი.

კუნძულელები საბოლოოდ იმავე მადსენმა დასაჯა, რომლის ზუსტმა ცაციამაც საფინალო სასტვენამდე 15 წამით ადრე დანია ნახევარფინალში გაიყვანა — 42:41. მადსენი ასპროცენტიანი შედეგიანობით გამოირჩა, მისი ცხრავე ნატყორცნი გოლით დასრულდა, გუდიონსონმა კი 15 გოლი მიითვალა და ბომბარდირთა სიაში მეექვსე პოზიციაზე აინაცვლა. 57-ჯერ გამტან ჩეხ ფილიპ ჟიხას იგი 12 ბურთით ჩამორჩება.

ტურნირის დაწყებამდე უმთავრეს სატიტულო პრეტენდენტებად ითვლებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი და ევროპისა — საფრანგეთი. ფრანგი ხელბურთელები ბუქმეიკერთა პროგნოზს ჯერჯერობით ამართლებენ და ოლიმპიურ გვირგვინოსან ხორვატთა ძლევით სამედლო ბრძოლას აგრძელებენ, პირინეელები კი ოთხეულის მიღმა დარჩნენ.

ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეოთხედფინალში ყველაზე ნაკლებად ფრანგებს გაუჭირდათ — 21:18. მართლაც, ფავიდან თანაბარი თამაშის შემდეგ მათ მატჩის ბოლომდე პრობლემა ერთხელაც არ გასჩენიათ.

ესპანელები კი საკუთარ მოედანზე მოთამაშე გერმანელებს შემოემარცხნენ. ისე გამოვიდა, რომ მასპინძლებმა უკვე პირველ ტაიმში გადაწყვიტეს მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ — 15:12 და საფინალო სასტვენამდე არ მიუციათ მრისხანე მეტოქისთვის წინ გასვლის საშუალება — 27:25.

უმძაფრესი გამოდგა პოლონეთ-რუსეთის სლავური ომი. მთელი მატჩის განმავლობაში ორგზის ჩემპიონი რუსები მდევრების როლში იყვნენ, ტაიმი ორბურთიანი სხვაობით დათმეს — 14:16, ხოლო შესვენების შემდეგ ოთხჯერ კი მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, ბოლოს საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე — 27:27, მაგრამ მერე პენალტი ვერ გამოიყენეს და ბოლოსწინა წუთზე დამარცხდნენ იმ საღამოს შვიდჯერ გამტანი კაროლ ბელეცკის ზუსტი ნატყორცნით — 27:28.

დღეს ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან გერმანია — საფრანგეთი და პოლონეთი — დანია.

**გია ახალაძე**



# ილუმჟინოვმა ტოპალოვს კრამნიკი და მსოფლიო დაუმალა





**ვესელინ ტოპალოვის** მენეჯერი სილვიო დანაილოვი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციაში (ფიდე) ლოზანაში, საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივის.

„ისინი საკუთარ კანონებს არღვევენ. ყველაფერს აკეთებენ, რომ ტოპალოვისა და ვლადიმირ კრამნიკის მატჩ-რევანში არ შედგეს. იციან, რომ ჩემი კლიენტი ამჟამად ყველაზე ძლიერია და მისი ეშინიათ" — აცხადებს დანაილოვი.

ცოტა ხნის წინ ანთალიაში, ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე ამ მატჩის გამართვას მხარი არ დაუჭირეს და დანაილოვის გაბრაზებაც ამან გამოიწვია.

„მატჩ-რევანშის გამართვას ჩვენს თავზე ვერ ავიღებთ — განაცხადა ფიდეს თავკაცმა კირსან ილუმჟინოვმა — ეს შეხვედრა ახალი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ექვსი თვით ადრე უნდა შედგეს. აქედან გამომდინარე, მატჩ-რევანში 11 თებერვლამდე უნდა დაიწყოს, რაც ალბათ ველარ მოესწრება."

შეგახსენებთ, რომ მექსიკურ ტურნირზე ტოპალოვი ვერ იასპარეზებს. მას, როგორც ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონს, იქ შესარჩევის გარეშე შეეძლო მოხვედრა, თუმც კრამნიკთან დამარცხების შემდეგ ადგილი დაკარგა. „სირცხვილია, რომ ასეთი რამ 21-ე საუკუნეში ხდება — ამბობს დანაილოვი — ილუმჟინოვი სტალინივით იქცევა და არავის უსმენს.

იგი ჩვენ მატჩ-რევანშის ჩატარების უფლებას არ გვაძლევს და მექსიკაშიც არ გვიშვებს, სამაგიეროდ, კრამნიკს მექსიკაში წაგების შემთხვევაში უკვე დართეს რემატჩის ნება."

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირზე ერთ-ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა დანაილოვი და ტოპალოვი თაღლითობაში დაადანაშაულა. მისი თქმით, სილვიო თავის კლიენტს თამაშისას სვლებს კარნახობდა.

„ეს დიდი იდიოტობაა და მასზე მთელი მსოფლიო იცინის. მიკვირს, იმ გაზეთმა ასეთი სისულელე როგორ დაბეჭდა. ჩვენ კარგი ადვოკატი დავიქირავეთ და იმ ჟურნალისტს საერთოდ ავუკრძალავთ მუშაობას" — დასძინა დანაილოვმა.

**ლუკა გეგეჭკორი**

# მსოფლიოს თასი

# ძველი რაიხი და ახალი ბიგმარკი



AFP შლადმინგი

**ზეგ,** 3 თებერვალს, ჩრდილოეთ შვედეთის პატარა ქალაქ არეში მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, რომელიც 18 თებერვლამდე გასტანს და ბუნებრივია, ამ მიზეზით მსოფლიოს თასზე შესვენება გამოცხადდა.

ბროლის გლობუსებისთვის ბრძოლა 24 თებერვალს ესპანურ სიერა ნევადასა და გერმანულ გარმიშ პარტენკირხენში განახლდება, მანამდე კი კაცებმა მსოფლიოს ჩემპიონატისწინა ბოლო ეტაპი, ჩაისრიალეს ავსტრიულ შლადმინგში.

რამდენიმე დღით ადრე ავსტრიაშივე, კერძოდ კი კიცბიულში სლალომის ორი ეტაპი ჩატარდა, ორივე უცნობმა შვედმა იენს ბიგმარკმა მოიგო და რადგანაც შლადმინგშიც სლალომის ეტაპი იყო. ბიგმარკს ერთგვარი ჰეთ თრიკის გაკეთების შანსი ჰქონდა და 21 წლის მოთხილამურეს საამისოდ სულ რაღაც 37 მეასედი წამი დააკლდა.

პირველი ცდის შემდეგ მარიო მატისა და ბენჯამინ რაიხის ავსტრიული დუეტი დაწინაურდა და ამით აღტაცებაში მოიყვანა თანამემამულეთა საქომაგოდ შეკრებილი 40 ათასი მაყურებელი. მატმა 7 მეასედი წამით აჯობა რაიხს, ვინც მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი და ამ სახეობაში ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი გახლავთ. ბიგმარკი მატთან თითქმის ნახევარ წამს აგებდა და თითქოს შანსიც აღარ ჰქონდა, მაგრამ მეორე დაშვებისას ჯეელმა შვედმა შესაშური სიჩქარე აკრიფა, უშეცდომოდაც ჩაისრიალა, მის წინ გამოსულთაგან ყველას უდიდესი სხვაობით გაასწრო, პოდიუმი და მინიმუმ მესამე ადგილი გაინაღდა და ფინიშის სიახლოვეს ავსტრიელების მოლოდინში დაიკავა ადგილი.

ჰეთ თრიკი მაინც არ გამოვიდა — რაიხმა, მართალია ვერც მეორე ცდაზე აჩვენა საუკეთესო დრო და ბიგმარკთან წამით ოთხი მეასედი წააგო, მაგრამ ჯამში შვედს აჯობა და 1999 წლის შემდეგ პირველად მოიგო მშობლიური შლადმინგის სლალომი. აი, მატჩმა კი მეორე დაშვებისას ველარ ივარგა და ისევე როგორც ორჯერ კიცბიულში, აქაც ბიგმარკის ზურგს უკან აღმოჩნდა.

ავსტრიელი ქომაგები პირველი და მესამე ადგილებითაც კმაყოფილნი დარჩნენ და უკმაყოფილო არც ბიგმარკი იყო, ვისაც, უკვე სლალომში მსოფლიოს ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევენ, მით უმეტეს, რომ პირველობა მის მშობლიურ ტრასებზე ჩატარდება.

თასის საერთო ჩათვლაში კი წინ კვლავაც ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალია, ვინც შლადმინგში მეცამეტე იყო, მაგრამ რაიხი ნორვეგიელს უკვე კუდზე აზის — მათ შორის სხვაობა 75 ქულაღაა.

### კაცები შლადმინგი (ავსტრია)

| სლალომი | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1წთ.42,55წმ. (50,40+52,15) |
| 2. იენს ბიგმარკი (შვედეთი) | 1.42,93 (50,82+52,11) |
| 3. მარიო მატი (ავსტრია) | 1.43,15 (50,33+52,82) |
| 4. მარკ ბერთოდი (შვეიცარია) | 1.44,48 (51,51+52,97) |
| 5. ჯორჯო როკა (იტალია) | 1.44,52 (50,96+53,56) |
| **სლალომის ჩათვლა** | |
| 1. იენს ბიგმარკი (შვედეთი) | 423 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 365 |
| 3. მარიო მატი (ავსტრია) | 320 |
| 4. მარკუს ლარსონი (შვედეთი) | 271 |
| 5. ჯორჯო როკა (იტალია) | 213 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 780 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 705 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 677 |
| 4. ბოდე მილერი (აშშ) | 640 |
| 5. პეტერ ფილი (იტალია) | 570 |

# ანიასთვის პენსია ჯერ ადრეა


AFP

**მსოფლიოს** თასის ორგზის მფლობელი, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ანია პაერსონი მიმდინარე სეზონში ძველებურად ვერ ჩაუქრობს და ჯერაც გამარჯვების გარეშეა. ამის მიზეზი ალბათ ის რამდენიმე ოპერაციაა, შვედმა მოთხილამურემ ტრავმირებულ მუხლზე რომ გაიკეთა. მიუხედავად ამისა, ძველისძველი და უმთავრესი მეტოქის, ხორვატი იანიცა კოსტელიჩის არყოფნაში პერსონი სეზონის უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ამ ეტაპისთვის ის კონკურენციას ვერ უწევს ავსტრიელ და ამერიკელ მოთხილამურეებს და მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა.

ანია იმედოვნებს, რომ გარდატეხა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდება — შვედი მშობლიურ არეში ხუთივე დისციპლინაში აპირებს სრიალს და მინიმუმ ერთ ოქროს მედალს გეგმავს.

გარდა ამისა, შვედურ გაზეთ Sportbladet-თან საუბარში პერსონმა უფრო შორეულ გეგმებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ 2010 წლამდე აპირებს თხილამურობას, ანუ კარიერას ვანკუვერის ოლიმპიადის შემდეგ დაასრულებს.



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

30 იანვარი

**კაროლინა 1:4 ტორონტო**
*1:1 0:0 0:3*
0:1 ბატალია (14), 1:1 უიტნი (17), 1:2 ანტროპოვი (41), 1:3 ანტროპოვი (56), 1:4 კაბერლე (60)

**ფილადელფია 3:4 ტამპა**
*0:0 2:2 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 სენ ლუი (27), 1:1 მ. რიჩარდსი (28), 2:1 კარტერი (39), 2:2 ფედოტენკო (40), 3:2 ფორსბერგი (44), 3:3 ლეკავალიე (33)

**ოტავა 3:2 ვაშინგტონი**
*2:0 1:1 0:1*
1:0 ალფრენდსონი (10), 2:0 სპეცა (17), 2:1 ოვეჩკინი (30), 3:1 ჰითლი (31), 3:2 ბრაშირი (44)

**პიტსბურგი 3:0 ფლორიდა**
*1:0 2:0 0:0*
1:0 უელე (19), 2:0 მური (23), 3:0 უიტნი (31)

**კოლორადო 4:3 ნეშვილი**
*2:1 1:1 1:1*
1:0 ბრიუნე (6), 2:0 არნასონი (10), 2:1 არნოტი (18), 2:2 კარია (24), 3:2 ვოლსკი (37), 4:2 ჰეიდუკი (41), 4:3 სალივანი (60)

**ბუფალო 7:1 ბოსტონი**
*2:1 4:0 1:0*
1:0 ვალეკი (3), 2:0 დრური (9), 2:1 მიურეი (17), 3:1 ბრიარი (26), 4:1 ჰოსტადი (27), 5:1 პომინვილი (36), 6:1 ბრიარი (38), 7:1 ბრიარი (53)

**ატლანტა 5:4 ნიუ ჯერსი**
*2:1 1:2 1:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 კოვალჩუკი (8), 2:0 კოვალჩუკი (12), 2:1 ჯიონტა (16), 2:2 ელიაში (21), 2:3 პარიზე (28), 3:3 ჰაველიდი (35), 4:3 მეტროპოლიტი (42), 4:4 მადენი (50)

**აილენდერსი 3:4 დეტროიტი**
*1:0 2:0 0:3 0:1 (ოვერტაიმი)*
1:0 სილინჯერი (1), 2:0 ბეიტსი (28), 3:0 ბლეიკი (32), 3:1 კრონვალი (44), 3:2 კლირი (45), 3:3 ჰოლმსტრომი (51), 3:4 ზეტერბერგი (63)

**სენტ ლუისი 2:5 მინესოტა**
*0:1 1:0 1:4*
0:1 ბუშარი (6), 1:1 ბრიუერი (34), 1:2 ბუშარი (51), 1:3 დემიტრა (54), 2:3 მაკლემენტი (59), 2:4 დემიტრა (60), 2:5 დიუპუი (60)

**კალგარი 4:1 ლოს ანჯელესი**
*0:0 2:0 2:1*
1:0 კონროი (21), 2:0 მოსი (24), 2:1 კამალერი (42), 3:1 იელი (55), 4:1 კონროი (56)

**ვანკუვერი 2:3 კოლუმბუსი**
*1:2 1:0 0:0 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 კარტერი (1), 1:1 დ. სედინი (14), 1:2 ფრიტშე (16), 2:2 სალო (31)

**სან ხოსე 2:3 დალასი**
*1:0 1:0 0:2 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 პაველსკი (3), 2:0 მარლო (25), 2:1 რიბეირო (44), 2:2 ბუშე (60)

# აიზერმანის ტვირთი



**კანადის** ჰოკეის ფედერაცია ყველანაირად ცდილობს, სპორტიდან ახლად წასული ვარსკვლავების ცოდნა და გამოცდილება მაქსიმალურად მოახმაროს ეროვნულ ნაკრებს — კარგად მოგეხსენებათ, უეინ გრეცკისთან დაკავშირებული ამბავი, როცა „დიად ვინმეს“ 2002 წლის ოლიმპიური ნაკრების გენერალური მენეჯერობა და ნაკრების დაკომპლექტება შესთავაზეს. „დიადმაც“ დიდებულად გაართვა თავი ამ საქმეს და ჰოკეის გამომგონებლებს სოლტ ლეიკ სიტიში 50 წლიანი შესვენების შემდეგ პირველი ოლიმპიური ოქრო მოაგებინა.

გრეცკის გზას მიჰყვება „დეტროიტის“ ლეგენდარული კაპიტანი სტივ აიზერმანიც, რომელსაც 2007 წელს მოსკოვში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ევალება კანადის ნაკრების დაკომპლექტება. შეგახსენებთ, რომ „წითელ ფრთებში“ 23-წლიანი დიდებული კარიერა დიდმა კაპიტანმა შარშან დაასრულა და გუნდის ადმინისტრაციას შეუერთდა, როცა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა.

ახლა კი აიზერმანს უკვე კანადური ჰოკეის სამსახურში მოუწევს ჩადგომა. ბევრის აზრით, ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ სტივმა ამ საქმიანობაში პრაქტიკა მიიღოს და ეს თანამდებობა გაითავისოს. რადგანაც დიდი შანსია, სწორედ მას ჩააბარონ 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადისთვის ნაკრების შედგენა. თუმც თავად აიზერმანი ასე შორს არ იყურება:

„მოდით, ოლიმპიადაზე ნუ ვისაუბრებთ. იქამდე დიდი დროა. მე იმასაც ვერ გეტყვით, მომავალ წელს რას გავაკეთებ. ოლიმპიადა კი სამ წელიწადში დაიწყება“.

ისე, აიზერმანს საკმაოდ რთული საქმე ჩააბარეს — ბუნებრივია, რომ ასეთ დიდ კაცს ყველა მაღალ შედეგებს მოსთხოვს. არადა, სტივს საკმაოდ შეზღუდული არჩევანი ექნება, რადგანაც მსოფლიოს ჩემპიონატი აპრილის მიწურულს იწყება, ამ დროს კი გაგანია სტენლის თასის პლეი ოფებია და სანაკრებოდ არავის სცხელა. კიდევ ერთი პრობლემა მწვრთნელის მონახვა იქნება — ნაკრების შარშანდელმა დამრიგებელმა მარკ ჰაბშიდმა წლეულს „ბოსტონის“ სამწვრთნელო შტაბში დაიკავა ადგილი და არც მას ეცლება. არადა, მწვრთნელის ნახვა საჩქაროა, მასთან ერთად კი „კაპიტანმა“ შემადგენლობაც უნდა შეარჩიოს.

მოკლედ, აიზერმანს დიდად საწვალებელი საქმე აჰკიდეს, თუმც ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ სტივი ამასაც ღირსეულად გაუმკლავდება.

**კახა ლომჯიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

AFP ფოტოები



მარია კირილენკო

# კირილენკოს შაქარი: შახარ პირი

**წლის** პირველი სლემტურნირის ჩამთავრების შემდეგ საჩოგბურთო სამყაროში შედარებითი სიმშვიდეა — ყოველი შემთხვევისთვის, მომავალი სამი თვის განმავლობაში მოქმედებათა ეპიცენტრი ერთი კონკრეტული ადგილი აღარ იქნება და ჩოგბურთელებიც პლანეტის სხვადასხვა კუთხეში გაიფანტებიან. თან ნელ-ნელა გრუნტის სეზონიც ახლოვდება, მაგრამ, ოღონდ უახლოესი თვენახევრის განმავლობაში მთავარი მოვლენები მაინც ჰარდზე განვითარდება.

აგერ ამ კვირაშიც წლის პირველი სათიხნარო ტურნირი ჩილურ ვინა დელ მარში დაიწყო, რომელსაც ძირითადად გრუნტს მონატრებულმა სამხრეთამერიკელებმა მიაშურეს. თუმც ბობოლებიდან კორტზე ჯერ არავინ გამოჩენილა.

ამიტომაც ჯობს ამერიკულ დელრეი ბიჩში გამართულ შეხვედრებზე შევაჩეროთ ყურადღება, სადაც მელბურნიდან დაგეგმილზე ადრე გამოძევებულმა ჯეიმს ბლეიკმა საკმაოდ სოლიდურ მიღწევას მიუკაკუნა — შავტუხა ამერიკელს 200 საკარიერო გამარჯვების დაგროვებამდე ერთი მოგებაღა აკლია. გუშინ კი ბლეიკს 52 წუთი ეყო თანამემამულე რობერტ კენდრიკის მიწასთან გასასწორებლად — 6:3 6:2.

მოიგო ტურნირის 2005 წლის ჩემპიონმა და სამგზის ფინალისტმა ქსავიე მალისმაც. ბელგიელმა კოლუმბიელ ალეხანდრო ფალას გამოუყვანა წირვა და რაინერ შუტლერთან რანდევუც გაინაღდა.

დაიწყო ზაგრების ტურნირიც, რომელმაც უდიდესი დანაკლისი ჯერ კიდევ დაწყებამდე განიცადა — მელბურნ-პარკის კორტებზე ომგამოვლილმა ენდი მიურეიმ ხორვატიაში ჩასვლას ხანმოკლე შესვენების აღება ამჯობინა. სამაგიეროდ, იმარჯვა მასპინძელთა ერთ-ერთმა ფავორიტმა ივო კარლოვიჩმა. აყლაყუდა ხორვატი ამჯერადაც თავისი უმძლავრესი მოწოდების ხარჯზე გავიდა ფონს. ბალკანელმა დღის რეკორდი წაართვა ბლეიკს და ირჟი ვანეკს 50 წუთში გადაუარა.

მოულოდნელობა მეექვსე ნომრად განთესილი ჟულიენ ბენეტოს მარცხი იყო, რომელმაც დანიელე ბრაჩიალისთან დაყარა ფარ-ხმალი.

ქალებმა თავი ტოკიოში მოიყარეს, სადაც საპრიზო ფონდიც სოლიდურია (თითქმის მილიონნახევარი) და შემადგენლობაც ვარსკვლავური შეიკრიბა.

სენსაციით დავიწყოთ და მეშვიდე ნომრად განთესილ დანიელა ჰანტუხოვას მარცხზე ვთქვათ, რომელიც რობერტა ვინჩიმ შეიწირა. თუმც სლოვაკისგან ამდაგვარ წაგებებს უკვე მივეჩვიეთ — ჰანტუხოვამ ხომ რა ხანია, ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური ჩოგბურთელის სახელი დაიგდო.

მოულოდნელი იყო შაჰარ პირის მარცხიც, რომელმაც მშვენივრად ითამაშა ავსტრალიაში. ებრაელ ჩოგნის მქნეველს ან ჯერაც ვერ მოუნელებია სერენა უილიამსთან მარცხი, ან საკმაოდ ხანგრძლივმა გადაფრენამ იმოქმედა და დასვენება ველარ მოასწრო. თუმც მარია კირილენკოსთვის ეს ყველაფერი სულ ერთი იყო და რუსმაც ორ სეტში მოუგო საცოდავად მოთამაშე პირს.

სამაგიეროდ, იმარჯვა ტურნირის შარშანდელმა ფინალისტმა მარტინა ჰინგისმა — შვეიცარიელი მინიმუმ ერთი წლის წინანდელი მიღწევის გამეორებას ეცდება და ამისკენ პირველი ნაბიჯი გუშინ ნიკოლ პრატის დამარცხებით გადადგა.

**კახა ლომჯარია**

ველოსპორტი

# ტომ ყატარელი

**ბოლო წლებია**, ველოსიპედისტთა საერთაშორისო სეზონი სადღაც სპარსეთის ყურეში „ყატარის ტურით" იხსნება. ველოსიპედისტთა საერთაშორისო ფედერაცია ძალიან მონდომებულია, შეჯიბრებათა გეოგრაფია, რომ გააფართოვოს და არაბმა შეიხებმაც სიამოვნებით გაუღეს კარი UCI-ს ჩინოვნიკებს და მათთვის უცხო ხილის დაგემოვნება დაიწყეს.

არაბეთის გარდა ველოსპორტის მამები აფრიკის კონტინენტზეც აწყობენ სხვადასხვა ტურებს, მაგრამ განსხვავება ის გახლავთ, რომ არაბ შეიხებს ფული თავზე გადასდით და ბუნებრივია, ელიტარული მრბოლები სადღაც განასა თუ კოტ დივუარში ბორბლების ტრიალს ნავთობით გამდიდრებულ სპარსეთის ყურის სანაპიროზე ჩასვლას ამჯობინებენ.



წლეულსაც ასეა და ყატარის გატკეცინებულ გზებზე ისეთი ხალხი დააჯირითებს ველოებს, როგორებიც ბელგიელი ტომ ბოონენი(„ქვიკ სტეპი") და იტალიელი ალესანდრო პეტაკი(„მილრამი") არიან.

მსოფლიოს ექსჩემპიონი ბოონენი ყატარში, სულაც შინაურ კაცად ითვლება — 26 წლის ბელგიელმა შარშანდელი „ყატარის ტური" დიდი უპირატესობით მოიგო და თანაც ექვსი ეტაპიდან ხუთში იმარჯვა. როგორც ჩანს, ბოონენი ნაკლებზე, არც წლეულს არის თანახმა და უკვე მოასწრო საწყისი სამი ეტაპიდან ორის მოგება. თანაც ბელგიელმა ორივე შემთხვევაში საფინიშო სპურტით აჯობა ამ საქმის დიდოსტატად აღიარებულ პეტაკის. საერთო ჩათვლაშიც ეს ორნი ლიდერობენ — ბოონენი პეტაკის 13 წამს უგებს, მესამე ადგილზე კი ჰოლანდიელი დე იონგია.

მძლეოსნობა

# დაოთხილი ასაფა



**ზამთრის** სამძლეოსნო სეზონში, მონაწილეობაზე უარი არ თქვა 2006 წლის მსოფლიოს უძლიერესმა მძლეოსანმა კაცმა ასაფა პაუელმაც. ცნობილმა იამაიკელმა სპრინტერმა, მსოფლიოს უსწრაფესმა ადამიანმა მშობლიური იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში გამართულ ტურნირში ირბინა, ევაა, მისთვის ცოტა არატრადიციულ, 400-მეტრიან დისტანციაზე. სტადიონს მან 47,67 წამში შემოურბინა და 100 მეტრზე პლანეტაზე ყველას დამმარცხებელმა ასაფამ ახლა საკუთარ სპარინგპარტნიორსაც ვერ აჯობა. ოღონდ ასაფა მაინც არ დარჩენილა უკმაყოფილო, რაკი 400 მეტრი მანამდე ასე სწრაფად არასოდეს ურბენია. გაღიმებული ამბობდა კიდეც — 47 წამში რომ ჩავეტიე ესეც კარგი შედეგიაო.

ცნობისთვის, თანამედროვეობის უძლიერესი 400-მეტრიანი ამერიკელი ჯერემი უორინერი ამ დისტანციას დაახლოებით 43-44 წამში გადის.

**კოტე ყორშია**

# დიბაბამ მეტოქეებს ბაბა აძახებინა

**ზამთრით** მოყინულ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში სამძლეოსნო სექტორებს ბოქლომები ადევს, მძლეოსნები კი ძირითადად ან სამხრეთელ პლაჟებზე ეფიცხებიან მზეს, ან ოჯახურ მყუდროებაში ასვენებენ მთელი სეზონის განმავლობაში დაღლილ კუნთებს. ხოლო მათთვის, რომელთაც დასვენებას ისევ და ისევ სირბილი ურჩევნიათ, ღია გადახურული დარბაზებია, სადაც ეგრეთ წოდებული ჭერქვეშა ტურნირები ტარდება და იქ გადასვლას ვარსკვლავებიც არ თაკილობდნენ.

ჭერქვეშა ტურნირებს ცალკე ჩემპიონ-რეკორდსმენები ჰყავთ. ერთმა ასეთმა რეკორდსმენმა, უცნობილესმა ეთიოპიელმა სტაიერმა ტირუნეშ დიბაბამ ბოსტონის დარბაზში 5 კილომეტრი 14 წუთსა და 27,42 წამში გაირბინა და 5,51 წამით გააუმჯობესა ამ დისტანციის რეკორდი ჭერქვეშა ტურნირებისთვის, რომელიც, სხვათა შორის, მასვე ეკუთვნოდა, თან ორი წლის წინ ზუსტად ამავე დარბაზში დაამყარა.

დიბაბას გვერდით არ ჰყოლია 5-10 კილომეტრიანი დისტანციაზე მისი მთავარი კი არა, ლამის ერთადერთი კონკურენტი, ასევე ეთიოპიელი ქალბატონი მესერეტ დეფარი. ასე რომ, ჯერ კიდევ გარბენის დაწყებამდე იყო ცნობილი გამარჯვებულის ვინაობა. ხალხს მხოლოდ ის კითხვა აწუხებდა, რამდენით ჩამოიტოვებდა დიბაბა დანარჩენებს და შესწვდებოდა თუ არა საკუთარ სარეკორდო ნიშნულს. ტირუნეშმაც დიდხანს არ ალოდინა ბოსტონური პუბლიკა, უკვე მეორე კილომეტრის ბოლოს ჩამოიტოვა მდევრები და მარტო გაუყვა დისტანციას, თან თავიდანვე ისეთი ტემპით გარბოდა, რომ აშკარად აუმჯობესებდა რეკორდს.

„ძალიან გამიხარდა ეს რეკორდი, რაკი ამ ტურნირზე მონაწილეობა ყოველთვის მიყვარდა და ახლაც განსაკუთრებით ვემზადებოდი. ვგრძნობდი, რომ რეკორდის გაუმჯობესება შემეძლო, მაგრამ ჩემმა შედეგმა საუკეთესოს მოლოდინსაც გადააჭარბა, ვერც ვიოცნებებდი ამდენით თუ გავაუმჯობესებდი."





**კოტე ყორშია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge